ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 16 – 17 ივლისი, 2016 №173 (7099) ფასი: 50 თეთრი

## სროლა მიუნხენის სავაჭრო ცენტრში

22 ივლისს მიუნხენში, სავაჭრო ცენტრ ოლიმპიაში სროლა ატყდა.

შენობაში შეიარაღებული ადამიანი იმყოფებოდა. სავაჭრო ცენტრის ირგვლივ ტერიტორია პოლიციის მიერ იყო გარშემორტყმული. გავრცელდა ვიდეო, რომელზეც ასახულია, როგორ გარბიან ადამიანები შემთხვევის ადგილიდან და პირი, რომელიც ძირს წევს.

თვითმხილველები 15 დაღუპულის შესახებ იუწყებოდნენ.




# სანდრა რულოვსი ზუგდიდში კენჭს იყრის?



პირველი ლედობა ნიშნავს საზოგადოებრივ ურთიერთობებში გამოცდილებას, ასევე პოლიტიკაში ჩახედულობას, რადგან მის თვალწინ ხდება ყველაფერი. როგორც პირველი ლედი, ის საკმაოდ აქტიური იყო, აქტიური იყო გარკვეული მიმართულებებით, განსაკუთრებით ჯანდაცვის მიმართულებით.

გვ.4



## აკრძალავენ თუ არა გამარჯვების დღეს საქართველოში?

— გვ. 4 —

## „რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის არ დაკეტილა“

ზვიად ჩიტიშვილი: „ნაციონალების ალარავის სჯერა და ტყუილად ნუ ხტუნაობენ“ —გვ. 5„—





## „გიორგი პაპუაშვილი ბუნდოვნად ლაპარაკობს“

გელა ნიკოლაიშვილი: „არ გაამართლა, რომ ასეთი უმაღლესი იუსტიციის საბჭო გვაქვს“

გვ.2



## ემზარ კვიციანი: „სააკაშვილის დავალებით რუსულმა სპეცრაზმმა გამიტაცა“

რას ნანობს კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული

— გვ. 3 —



## პეტრე ცისკარიშვილი: „დოლართან ხელოვნური ბრძოლა დაგვაზიანებს“

გვ.6



ISSN 1987-9385

## გია ვოლსკი: „პაპუაშვილის განცხადებები სახელმწიფო ინტერესებს უპირისპირდება“

გვ.6



## თბილისში ტაქსებს ახალ რეგულაციებს უმზადებენ

გვ. 6

# „გიორგი პაპუაშვილი ბუნდოვნად ლაპარაკობს“

## გელა ნიკოლაიშვილი: „არ გაამართლა, რომ ასეთი უმაღლესი იუსტიციის საბჭო გვაქვს“

ნონა ცაბაძე

სასამართლოების იმგვარ განვითარებულ პროცესებს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი აფასებს.



***— ბატონო გელა, რა ხდება სასამართლოებში? როგორ აფასებთ პაპუაშვილის განცხადებებს? ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ნაციონალების ხელწერას ჰგავს წინასაარჩევნოდ. რას ფიქრობთ თქვენ?***

— მანამ, სანამ არ იქნება დასახელებული კონკრეტული პიროვნებები, ან მუქარის ობიექტი, ან სუბიექტი, ვინც ემუქრება და ვისაც ემუქრებიან, მანამდე ეს ეჭვი დარჩება, რომ ეს პოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი ნაწილია, პოლიტიკური სპექტაკლის, რომ აჟიოტაჟი შეიქმნას.

***— თუ დასახელდა კონკრეტული პირები?***

— თუ ვთქვათ დასახელდება კონკრეტული პირები, ესეც არ არის გამოსარიცხი, მაშინ ეს საქმე გადავა რაღაცა დაუსაბუთებელი ეჭვებიდან კონკრეტულ, დასაბუთებულ ვარაუდებზე. მე არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც მეჩვენება, რომ ეს არის პოლიტიკური თამაშის ნაწილი, სანამ რაღაცა კონკრეტული არ იქნება დასახელებული.

***— თუკი ეს სიმართლეა, თავად მოსამართლეები რატომ არიან ჩუმად, რატომ არ გამოდიან და არ საუბრობენ ღიად, რომ მათზე ხორციელდება მუქარა, შანტაჟი. რას ელოდებიან?***

— საკონსტიტუციო სასამართლო არ არის საბავშვო ბაღი და გიორგი პაპუაშვილი არ არის საბავშვო ბაღის გამგე, რომ ბავშვების დასაცავად გამოდიოდეს და მათ მაგივრად ლაპარაკობდეს, როცა ხშირად ზეწოლები სწორედ თავმჯდომარეებიდან მოდიოდა. თვითონ კოტე კუბლაშვილისგან და სხვა საერთო სასამართლოების, საქალაქო თუ სააპელაციოდან მოდიოდა მითითებები მოსამართლეებზე და სწორედ მათთან თანხმდებოდა გადაწყვეტილებები, ეს თვითონ ილაპარაკა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ მამუკა ახვლედიანმა.

***— ამით რისი თქმა გსურთ?***

— ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ ვინმე ვინმეს ემუქრება, ჩუმად უნდა იყვნენ და არ უნდა თქვან. პირიქით, გამოვიდნენ და ხმამაღლა თქვან, კონკრეტული გვარები და სახელები დაასახელონ. თუ მართლა არსებობს მათ მიმართ ისეთი კომპრომატები, რომ თვითონ ერიდებათ, ან ეშინიათ, მაშინ ეს სხვა საქმეა, მაგრამ არც ასეთი გაუგებარი და ბუნდოვანი განცხადებებით საუბარია კარგი. ეს არაფრის მომტანია.

***— პროკურატურა მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ამ საკითხით დაინტერესდეს. პაპუაშვილს პროკურატურაში მისვლაც სთხოვეს. წარადგენს ის კონკრეტულ მასალებს?***

— მე როგორც გავეცანი ინფორმაციას, პაპუაშვილმა თავად განაცხადა, რომ ის დაუკავშირდა პრეზიდენტსაც და პრემიერსაც და მხოლოდ მათთან შეხვედრის შემდეგ მივა პროკურატურაში. თუ პრემიერთან და პრეზიდენტთან უნდოდა შეხვედრა, ეს შეეძლო მანამდეც მოეხერხებინა, ამას რად უნდოდა გასაჯაროება?! ვინ დაუშალა მათთან შეხვედრა?!

ესეც ეჭვებს ბადებს, თუმცა დავანებოთ ამასაც თავი. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. წინასწარ ნუ შევქმნით აჟიოტაჟს. მე არ მაქვს დიდი მოლოდინი, რომ რაღაც გაირკვევა და ვიღაცა კონკრეტული დასახელდება მუქარის სუბიექტი ან ობიექტი. ამ მოცემულობიდან არ ჩანს, რომ არსებობდეს კონკრეტული მტიცებულება. მოსამართლემ ყველაზე კარგად იცის, რა არის მტკიცებულება და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

***— საუბარია, რომ ეს აჟიოტაჟი მიბმულია რუსთავი 2-ის თემასთან. თქვენ რას ფიქრობთ?***

— ამას არც მე გამოვრიცხავ. პაპუაშვილმა მინიშნება გააკეთა კიდეც ამაზე. რაც მან თქვა, სწორედ ამაზე მიანიშნებდა. ხაზგასმით თქვა, რომ გუშინდელ მიღებულ გადაწყვეტილებას ეს არ ეხებაო, ფაქტიურად ან უნდა გაიწელოს და ან მათი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მივიღოთო და ეს სწორედ ის თემაა, რაც რუსთავი 2-ს უკავშირდება. გაწელვა ნიშნავს იმას, რომ არჩევნებამდე არაფერი შეიცვალოს და მათი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება რასაც ნიშნავს, ყველამ ვიცით. ის ამაზე მიანიშნებდა, მაგრამ ეს ღიად უნდა ითქვას, არ არის საჭირო ასეთი ბუნდოვანება.

***— ბუნდოვანია პაპუაშვილის განცხადებები?***

— მოსამართლე არ უნდა ლაპარაკობდეს პოლიტიკოსივით. ჯერ პოლიტიკოსებისგან არ არის მისაღები ორაზროვანი და ბუნდოვანი ლაპარაკი და, მით უმეტეს, მოსამართლისგან. მოსამართლემ ან არაფერი უნდა თქვას, ხოლო თუ ამბობს, ეს კონკრეტულად უნდა დაადასტუროს. აი, ეს არის ჩემი პოზიცია.

მეეჭვება, რომ რამე დააკონკრეტოს, მაშინ თავიდანვე იტყოდა, რომ ამა და ამ მოსამართლეს ესა და ეს პიროვნება ემუქრებოდა. ხოლო თუ საჯაროდ არ უნდოდა ამის გაცხადება, თავიდანვე მივიდოდა პროკურატურაში და ამაზე განაცხადებდა. მან კი არც ერთი გააკეთა და არც — მეორე და გამოუვიდა ეჭვის დამთესავი განცხადებები.

***— მოსამართლეების მერე ვადით დანიშვნას სერიოზული პროტესტი მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. რა ხდება? რატომ წამოვიდა ამხელა უკმაყოფილება?***

— იმიტომ, რომ ძველი მოსამართლეების დიდი ნაწილი, 90%, არ უნდა ყოფილიყო დანიშნული. ეს არის ჩემი პოზიცია. შეიძლება რაღაცა გამონაკლისები თითო-ოროლას სახით ყოფილიყო, მაგრამ მოსამართლეთა ნახევარზე მეტი ხელმეორედ ინიშნება, მოსამართლეები, რომლებსაც ამხელა ტვირთი აწევს.

***— გახმაურებულ საქმეებზე?***

— არა მხოლოდ გახმაურებულზე. განაჩენები აშკარად სხვისი ბრძანებით იყო დაწერილი. ეს ტვირთი რომ გაწევს და კიდევ რომ ითხოვ, დაინიშნო, იმ დროს, როცა ის სამი ადამიანი, რომელიც არ დანიშნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად: ლალიაშვილი, თოდუა და ანა დოლიძე, რომლებსაც შეუბღალავი რეპუტაცია აქვთ, ესენი არ დანიშნეს პოლიტიკური იწილო-ბიწილოს გამო. ეს სამივე მისაღები კანდიდატი იყო, ამათ არ ნიშნავენ და ეს იუსტიციის საბჭო ნიშნავს იმ ძველ მოსამართლეებს, რომლებიც დისკრედიტირებულები არიან.

***— რატომ ნიშნავენ თუკი ეს მათ რეპუტაციას ლახავს? ან მურუსიძეს რატომ დაუჭირა ამ ხელისუფლებამ მხარი?***

— იმიტომ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქცა ერთ ისეთ დაჯგუფებად, რომელიც თვითონ შედგება უმრავლესობით, რომლებიც იმ ძველი მოსამართლეთა წრიდან არიან.

პოლიტიკური მოტივებით ხდება ვიღაცის ან გათეთრება, ან გაშავება. მაგალითად, როდესაც მურუსიძე აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა. მაშინ კოტე კუბლაშვილი იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ყველა ისეთი საბჭოს წევრი გაიყვანა, რომ პირობითად ყველა იყო კოტე კუბლაშვილი. მათი დიდი ნაწილი ალბათ დარჩა იმავე პოზიციებზე. ისინი წარმოადგენენ სწორედ იმ კატეგორიის მოსამართლეებს, რომლებიც ამ 9 წლის განმავლობაში ერთგულად ასრულებდნენ ხელისუფლების ყველა მითითებას.

***— დღესაც იგივე პოლიტიკა გრძელდება?***

— აქედან გამომდინარე, მათ რაღაცა ვალდებულებები აქვთ მათი კოლეგების მიმართ, იმ ძველი მოსამართლეების, რომლებსაც ახლად ნიშნავენ და ეს არის პრობლემა. იუსტიციის საბჭო მათთვის სასურველ კანდიდატს ირჩევს.

***— ანუ ამ პროცესმა არ გაამართლა?***

— არ გაამართლა იმან, რომ ასეთი უმაღლესი იუსტიციის საბჭო გვაქვს, აი, ეს არის პრობლემა! რადიკალურად უნდა შეცვლილიყო, ახალი კანონი უნდა მიღებულიყო, ახალი ხალხით უნდა დაკომპლექტებულიყო. აბა ძველ მოსამართლეებს რომ მისცემ არჩევის საშუალებას, ისინი თავისნაირებს აირჩევენ და დანიშნავენ, აბა რას იზამენ?!

# „ლაშა თორდიას ბრძანება უმძიმეს ვითარებაში გვაყენებს“

## ნინო ბურჯანაძე პრემიერ-მინისტრსა და გენერალურ აუდიტორს მიმართავს

— სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკურ პარტიებსა და კომერციულ ორგანიზაციებს შორის წინასაარჩევნოდ განსაზღვრული ქმედებები ახლებურად დაარეგულირა.

ამის შესახებ განცხადება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ ბრიფინგზე გააკეთა.

მისივე თქმით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით, პოლიტიკური რეკლამის შესყიდვა ახლებურად რეგულირდება, რაც პოლიტიკურ პარტიებს უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს.

**ნინო ბურჯანაძე:**

— სამწუხაროდ, შევეჩეხეთ კედელს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ 2016 წლის 5 მაისს, თავისი ახალი ბრძანებით ააგო. ამ ბრძანებით, მან პოლიტიკურ პარტიებსა და კომერციულ ორგანიზაციებს შორის წინასაარჩევნოდ განსაზღვრული ქმედებები სრულიად ახლებურად დაარეგულირა.

ბურჯანაძის ინფორმაციით, ბრძანების მეათე მუხლით, ახლებურად რეგულირდება პოლიტიკური რეკლამის შესყიდვა.

— მეათე მუხლში ვკითხულობთ: პოლიტიკური რეკლამის შესყიდვა — ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, გაზეთი და გარე რეკლამა, უნდა განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ ამ ბრძანების ამოქმედებამდე, პოლიტიკურ პარტიებს კომერციულ ორგანიზაციებ-



თან მოლაპარაკების გზით შეეძლოთ, გადაეწყვიტათ თანხის ნაწილობრივი გადახდის საკითხი — დღეს პოლიტიკური პარტიები პრაქტიკულად უმძიმეს მდგომარეობაში არიან.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ამ პროტესტს ყველა პოლიტიკური პარტია მხარს დაუჭერს. ეს ბრძანება უმძიმეს ვითარებაში გვაყენებს. პრაქტიკულად, გვერთმევა შესაძლებლობა, რომ დამატებითი სარეკლამო საშუალებები შევიძინოთ. საუბარია ელემენტარულად ბუკლეტებზე, ფლაერებზე.

ეს ბრძანება არის დანაშაულებრივი. მე საგანგებო წერილი მივწერე პრემიერ-მინისტრსა და ლაშა თორდიას და მათგან პასუხს ველოდები. ასევე, საქმის კურსში ჩავაყენეთ დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები,— განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# „თურქეთში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს მაქსიმალური ყურადღება ექცევათ“



თურქეთში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს მაქსიმალური ყურადღება ექცევათ.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგი გიგიაძემ პოლიციის მკვლელობისთვის დაკავებული 5 ქართველის შესახებ საუბრისას განაცხადა.

— ჩვენი საელჩო ჩართულია ამ საკითხში. საკონსულოს თანამშრომლები გაემგზავრნენ ადგილზე შემთხვევის პირველივე წუთებიდან. მინდა გითხრათ, რომ ამ შემთხვევას მაქსიმალური ყურადღება ექცევა და დაკავებულ ადამიანებსაც, რა თქმა უნდა, — განაცხადა გიგი გიგიაძემ.

პოლიციელის მკვლელობის ბრალდებით თურქეთში საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულები ავტომობილის გაძარცვას ცდილობდნენ, პოლიციელმა კი მათი შეჩერება სცადა, როდესაც მას სასიკვდილო ჭრილობები ყელისა და მუცლის არეში მიაყენეს.

სამართალდამცავი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

**ინტერპრესნიუსი**



# შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სონერ დ. აგარაში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 49,73 გრამი ჰეროინი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ემზარ კვიციანი: „სააკაშვილის დავალებით რუსულმა სპეცრაზმმა გამიტაცა“

## რას ნანობს კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ გამოიძია ხელისუფლებამ კოდორის მოვლენები, ვინ ითხოვდა ხეობის აფხაზებისთვის გადაცემას, როგორ აღმოჩნდნენ ქართულ შენაერთებში ჩეჩენი ტერორისტები, ვის მოუვიდა დაუმორჩილებლობის იდეა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი ესაუბრება.**

***– კოდორის ცნობილი მოვლენებიდან 10 წელი გავიდა. მიდის თუ არა ამ საქმეზე გამოძიება და 10 წლის გადმოსახედიდან ხომ არ ნანობთ იმას, რაც 2006 წლის ივლისში გააკეთეთ?***

– სინანულით მხოლოდ იმას ვნანობ, რომ 2008 წლის აგვისტოში არ ვიყავი ხეობაში. იქ რომ ვყოფილიყავი, ხეობას ასე იოლად ვერავინ დაეპატრონებოდა. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებდი მის დასაცავად, ამაზე მე ფიცი მაქვს დადებული. ამიტომაც მომაშორეს საქართველოს. ამიტომაც დაიჭირეს ჩემი დაიკო ნორა. ნორას გარდა კიდევ 3 და მყავს, მაგრამ მათ არავინ შეეხო. ნორა იმიტომ დაიჭირეს, რომ იცოდნენ, ხეობას არც ის დათმობდა. ხელში იარაღს აიღებდა და ბოლომდე იბრძოლებდა. იქ მყოფ 3.500 სამხედროს ხეობის დატოვების საშუალებას არ მისცემდა და ბრძოლას აიძულებდა.

რაც შეეხება 10 წლის წინანდელ ამბავს, ეს იყო სააკაშვილის და ოქრუაშვილის ბანდის მიერ მოწყობილი სპექტაკლი, რომელიც მიზნად ხეობის ჩაბარებას ისახავდა. მე ამას გავუწიე წინააღმდეგობა და ამით ძალიან ვამაყობ.

***– იმ პერიოდში ხეობაში რატომ ახვედით, თქვენ ხომ თბილისში მუშაობდით?***

– ხეობაში მე 14 ივლისს ავედი, დედაჩემის ორმოცი უნდა გადამეხადა იქ. იმ დროს ჩემთვის ჯერ ცნობილი არ იყო, რომ ხეობაში ჯარის შეყვანას აპირებდნენ. იქ რომ მივდიოდი, ჩემი თვალით ვნახე, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები გზებს აწესრიგებდნენ. ბუნებრივია, გამიჩნდა ეჭვი, რომ რაღაც ხდებოდა. გავიგე, რომ ჯარის შემოყვანას აპირებდნენ და გავგიჟდი.

1994 წლის 14 მაისს გაფორმებული ოთხმხრივი ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ეკრძალებოდა ხეობაში საჯარისო შენაერთების შეყვანა. თუ თბილისი ჯარს შეიყვანდა, რუსეთს სპეცოპერაციის ჩატარების უფლება ეძლეოდა. შემოვიდოდნენ ისინი და თან აფხაზები შემოჰყვებოდნენ.

იმისთვის, რომ ხეობაში ჯარი შემოეყვანათ, საფუძველი უნდა ჰქონოდათ. ამისთვის ნიადაგის მომზადება ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყეს. კოდორის ჩაბარების გეგმა იმ დროისთვის უკვე გაწერილი იყო.

***– ეს რაში გამოიხატებოდა?***

– იმ პერიოდში ხდებოდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების დაცხრილვა, იტაცებდნენ გაეროს დამკვირვებლებს. ერთხელ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მთელი შემადგენლობაც კი გაიტაცეს. ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ იქ ჯარი შემოსულიყო.

ხეობაში მაშინ მიმდინარე პროცესები ძალიან ჰგავდა 1991-1992 წლებში აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთზე გახშირებულ თავდასხმებს. მაშინ ამ მონაკვეთზე მატარებლებს იმიტომ ძარცვავდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება იძულებული გამხდარიყო, წესრიგის დასამყარებლად ჯარი შეეყვანა. ასეც მოხდა, პროვოკაციაზე წამოგვაგეს, ჯარი შეგვაყვანინეს და ომში ჩაგვითრიეს. ომი როგორც დამთავრდა, ყველამ იცით.

***– ამბობთ, რომ ხეობაში გატაცებები ვიღაცის მიერ იმართებოდა. ვინ არის ის ვიღაც? იმ პერიოდში ძირითადად თქვენ გაბრალებდნენ გატაცებებს.***

– გატაცებები ჩემ მიერ რომ ყოფილიყო ორგანიზებული, სააკაშვილი ამას არ გამოიძიებდა? არც ერთი საქმე გამოძიებული არ არის. არადა ამ საქმეებს უშიშროება იძიებდა. საქმეები გამოუძიებელი იმიტომ დარჩა, რომ სიმართლე არავის უნდა გაეგო.

***– სიმართლე რა იყო?***

– სიმართლე კი ის არის, რომ ყველა ეს გატაცება უშიშროების მიერ იყო ორგანიზებული. ამ გატაცებებმა და ყაჩაღობებმა ძალიან ცუდად იმოქმედა ჩვენზე. ჩვენმა მოღალატეებმა უცხოელებთან ერთად ძალიან ცუდი საერთაშორისო იმიჯი შეგვიქმნეს. ყველა დაარწმუნეს, რომ ჩვენ ტერორისტები და ყაჩაღები ვიყავით, რომელთა ასალაგმად საჭირო იყო სპეცოპერაცია.

სპეცოპერაციაც დაგეგმეს და ყველა მოატყუეს, თითქოს პოლიცია შემოიყვანეს. სინამდვილეში ხეობაში თავდაცვის სამინისტროს 2 ბრიგადა შემოვიდა. მათ გარდა იქ რამდენიმე სპეცდანიშნულების რაზმიც გადმოისროლეს. მათთან ერთად ხეობაში ჩეჩენი ტერორისტებიც შემოიყვანეს.

***– ჩეჩნები რაღაში სჭირდებოდათ?***

– მეც ეგ მიკვირს. წინა ხელისუფლებამ ამაზეც უნდა გასცეს პასუხი. მე კი ვიცი, რატომაც შემოიყვანეს ეგენი, მაგრამ ყველაფერი გამოძიებით უნდა დადგინდეს. ნაციონალებმა ამ სივერაგეზეც უნდა აგონ პასუხი.

***– სანამ გამოძიებით დადგინდება, მანამდე თქვენი ვერსია გვითხარით.***

– კოლონას ჩეჩნებით სავსე მანქანა მოუძღოდა. მაგათ ეგონათ, რომ მე ცეცხლს გავუხსნიდი. მერე ატეხდნენ ამბავს, კვიციანმა ჩეჩნები დახოცაო და ისინი დაიწყებდნენ ჩემზე ნადირობას. მე ქართული ჯარისთვის სროლა არც კი მიფიქრია და ეს გეგმა ჩაუვარდათ.

***– ფაქტებით შეგიძლიათ იმის დამტკიცება, რომ იქ მართლა იყვნენ ჩეჩნები?***

– სასამართლოზე მივიტანეთ ფირები, სადაც ხეობაში საჯარისო შენაერთების შემოსვლაა აღბეჭდილი. აქ ნათლად ისმის,



გადარბენის დროს 2 ბოევიკი ერთმანეთს როგორ ელაპარაკება ჩეჩნურად. ისინი ჩეჩნურად საუბრობენ მაშინაც, როცა სროლა ატეხეს. იქ იყვნენ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორებიც.

***– ამერიკელებს რაღა უნდოდათ?***

– კოდორის ჩაბარების გეგმა რამდენიმე ქვეყნის მიერ იყო მოფიქრებული. საქართველოს ხელისუფლება, რუსეთი, ამერიკა, ევროპა ყველა თანახმა იყო ამაზე. მთელი მსოფლიო ჩვენ წინააღმდეგ იყო. კოდორი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 30%-ს შეადგენს. სანამ ის ჩვენს დაქვემდებარებაში იყო, აფხაზეთის აღიარება ვერავინ გაბედა. როგორც კი ხეობა ჩააბარეს, მაშინვე აღიარეს.

ამერიკელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ხეობა აფხაზეთის დაქვემდებარებაში გადასულიყო, ახლა უნამუსოდ გამოდიან და იძახიან, რუსეთის მიერ აღიარებულ აფხაზეთს არ ვაღიარებთო.

მე პირადად მაღალი რანგის პირები და უცხოელებიც ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ხეობა რუსებისთვის უნდა ჩაგვებარებინა. როცა ვკითხულობდი, რატომ? მეუბნებოდნენ, ამასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაა გაფორმებულიო.

***– რა ხელშეკრულებაზეა საუბარი? ან ვინ და როდის გააფორმა ეს ხელშეკრულება?***

– მეც დავსვი ეგ კითხვა და მითხრეს, ეგ არაა თქვენი საქმეო. ფაქტია, რომ ჩვენს ზურგს უკან, წლების წინ ხელისუფლებამ გააფორმა ხელშეკრულება. მე კარგად ვიცოდი, რომ ხეობაში ჩვენი საჯარისო შენაერთების შემოსვლას მისი დაკარგვა მოჰყვებოდა და ამიტომაც გავიგიჟე თავი.

აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ, 1995 წელს, ცენტრალურ ხელისუფლებას დალაგებული ხეობა ჩავაბარე. იმის მაგივრად, რომ მის განვითარებაზე ეზრუნათ, ისეთი ამბები დაატრიალეს, იქაურობა დასაბრუნებელი გამიხდა.

***– ამისთანა რა ჩაიდინეს?***

– შეიყვანეს პოლიცია და დაამკვიდრეს ჩაშვების ინსტიტუტი. იმ პერიოდში იქ ყველას ჰქონდა იარაღი. სვანები ემოციური ხალხი ვართ და ხშირი იყო სროლები. იმ პერიოდში 53 ადამიანი იქნა მოკლული. ხელისუფლების წარმომადგენლები არაფერს აკეთებდნენ დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად, მშვიდად უყურებდნენ, როგორ ხოცავდნენ სვანები ერთმანეთს. იმ პერიოდში მე უკრაინაში ვსწავლობდი და როცა გავიგე, აქ საშინელებები ხდებოდა, სასწრაფო წესით ხეობაში დავბრუნდი.

დაბრუნებისთანავე ყრილობა გავმართე. ხალხი ისე იყო ერთმანეთზე გადაკიდებული, 40 კაცზე მეტი არ მოვიდა. მე და ივერი ჭელიძემ თავიდან დავიწყეთ ხალხის შერიგება, ხეობაც ფეხზე დავაყენეთ. მანამდე თუ იქ 200 კომლი იყო მარტო დარჩენილი, 1 წლის შემდეგ ხეობაში კიდევ 450 ოჯახი დაბრუნდა. იქაურობა გვქონდა უმაღლეს დონეზე დაცული. ხეობას ბატალიონი მონადირე იცავდა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. ეს ადამიანები ხელფასს იღებდნენ და ყველაფერი კარგად მიდიოდა.

ეს ვიღაცის ინტერესებში არ შედიოდა და ყველანაირად რევდნენ სიტუაციას. 2001 წლის მოვლენებიც ყველას ახსოვს. ხეობაში გელაევის რაზმი რომ გადმოისროლეს. მაშინ ხეობა სასწაულად გადარჩა. გარედან თავსმოხვეულმა ნაციონალების ხელისუფლებამ ეს გეგმა წარმატებით დაასრულა და ხეობა რუსეთის ხელში გადავიდა.

2006 წლის ივლისის მოვლენებამდე ირაკლი ოქრუაშვილმა ბატალიონი მონადირე გააუქმა. ესეც რუსეთიდან და ამერიკიდან იყო ნაკარნახევი.

***– თქვენც გაბრალებენ რუსეთთან კავშირს. იმ დაუმორჩილებლობის შემდეგ თქვენ სწორედ ამ ქვეყანას შეაფარეთ თავი, რაც ეჭვებს იწვევს.***

– რუსეთში ჩემი ნებით არ გადავსულვარ. სააკაშვილთან დაახლოებულმა ქართველებმა, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, ხეობიდან გამიტყუეს, თითქოს რაღაც საქმე ჰქონდათ. იქ დამახვედრეს რუსული სპეცრაზმი, რომელმაც გამიტაცა. ეს სპეცრაზმი სააკაშვილთან იყო კოორდინაციაში და მისი დავალებით მოქმედებდა.

***– სააკაშვილის დავალებით იმოქმედა რუსეთის სპეცრაზმმა?***

– რატომ გაგიკვირდათ, ერთმანეთს რომ ლანძღავდნენ ნაციონალები და რუსები, მართლა გგონიათ, რომ დაპირისპირებულები იყვნენ? ამით ხალხს აბოლებდნენ მხოლოდ. სინამდვილეში ყველაფერს ერთად აკეთებდნენ.

***– სააკაშვილმა რატომ გაატაცებინა თქვენი თავი?***

– იმისთვის, რომ თავიანთი გეგმა სისრულეში მოეყვანათ.

***– ბევრი თვლის, თქვენ რომ დაუმორჩილებლობა არ გამოგეცხადებინათ, შესაძლოა, 2006 წელს მოვლენები ასე აღარ განვითარებულიყო.***

– ამ განცხადების გაკეთების მიზეზებსაც მოგახსენებთ და მერე დასკვნა თავად გააკეთოს მკითხველმა. როგორც უკვე გითხარით, ხეობაში 14 ივლისს ავედი. 19 ივლისს მირეკავს ანზორ მარგიანი და მეუბნება, ოქრუაშვილი აპირებს მანდ ჯარით შემოსვლას და მანდედან გამოდიო. ამან ჩემს თავმოყვარეობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა და მეორეც, ეს იყო ღალატი და ამას გავუწიე წინააღმდეგობა.

***– იქნებ ხეობის ჩასაბარებლად სულაც არ მოდიოდა ოქრუაშვილი?***

– აბა, რისთვის მოდიოდა? ცხინვალში იგივე არ გააკეთა 2004 წელს? რაღაცები რომ აურია დალაგებულ სამაჩაბლოში და შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება მოახდინა. ამის შემდეგ ყველა სტრატეგიული სიმაღლე, რომელსაც მანამდე ქართული მხარე აკონტროლებდა, მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა.

ეს მოვლენები ჩემთვის კარგად იყო ცნობილი და ვიცოდი, რომ ოქრუაშვილი იმისთვის მოდიოდა, რომ ხეობის ჩასაბარებლად ნიადაგი მოემზადებინა.

როცა მისი შემოსვლის ამბავი მითხრა მარგიანმა, სვანურად დაამატა, მანდედან წამოდი, შენთვის ასე ჯობიაო. მე ვუთხარი, რანაირად ჯობია, ხეობის ჩასაბარებლად მოდიხართ-თქო. ვუთხარი, თუ შემოსვლას არ იშლის, ჯერ 1994 წლის ხელშეკრულება მაინც გააუქმეთ-თქო. იმ ხელშეკრულების გაუქმება არც კი მოუთხოვიათ. ეს არც მათი და არც რუსეთის ინტერესებში არ იყო.

ხეობაში რომ მოხვედრილიყავი, რუსი სამშვიდობოების საგუშაგოები უნდა გამოგევლო. როდესაც ზამთრისთვის პროდუქტი შეგვქონდა, საგულდაგულოდ გვჩხრეკდნენ, რომ იარაღი არ შეგვეტანა. 2006 წელს კი ისე გამოატარეს შეიარაღებული დაჯგუფება, ხმა არ ამოუღიათ. ესეც დასტურია იმისა, რომ რუსებთან იყვნენ შეკრული.

როცა მივხვდი, რომ ესენი შემოსვლას არ გადაიფიქრებდნენ, მაშინ ავიღე ყურმილი და ყველა ნაცნობ ჟურნალისტს დავურეკე. ყველას ვთხოვე, ატეხეთ ამბავი, ხეობაში ჯარი შემოჰყავთ. ამაზე რეაქცია არავის ჰქონდა.

21 ივლისს კიდევ ერთხელ დავურეკე ნაცნობ ჟურნალისტებს, რეაქცია ისევ ნულოვანი იყო. 22 ივლისს მომივიდა ინფორმაცია, რომ დაზვერვა უკვე დაადგა ხეობისკენ მომავალ გზას და რაღაც უნდა მეღონა. ის ცნობილი განცხადებაც ყურადღების მისაპყრობად გავაკეთე.

***– დაუმორჩილებლობა მხოლოდ ყურადღების მისაპყრობად გამოაცხადეთ?***

– მხოლოდ ამიტომ, ჟურნალისტებს ხომ სენსაცია გჭირდებათ. როგორც კი ვთქვი, რომ დაუმორჩილებლობას ვაცხადებ, ატყდა ერთი ამბავი. სპეცსამსახურებიც ამას ელოდნენ ჩემგან. მაინც სვანი ვარ და ფიცხი ხასიათი მაქვს. იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან გამოვიდოდი მწყობრიდან.

ჩემი განცხადების შემდეგ გამოვიდა ის ორმეტრიანი ქინძი სააკაშვილი და დედა შემაგინა. გარდაცვლილი დედის გინებას ნამდვილად არავის ვაპატიებდი. ეს იყო ჩემთვის მწყობრიდან გამომყვანი. ამის შემდეგ რიტორიკას აღარ მოვუკელი და მივაწექი, ოღონდ მხოლოდ განცხადებებით. ყველამ კარგად იცის, რომ ქართველებთან ომის სურვილი არასდროს მქონია.

მჯეროდა, რომ თუ მედია ატეხდა ამაზე ხმაურს, ჯარს აღარ შემოიყვანდნენ, ხმაური ატყდა, მაგრამ ჯარი მაინც შემოიყვანეს. ხეობაში 3.500 კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო იყო და მათ 2008 წელს ხეობა ერთი გასროლის გარეშე დატოვეს.

იქედან არც იარაღი და ტექნიკა წამოუღიათ. მათ დანატოვარს აფხაზები და რუსები ერთი წელი ეზიდებოდნენ. ახლა არის კიდევ კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მინდოდა იქ ოქრუაშვილის შემოსვლა? მგონი, ყველაფერი ნათელია.

***– ყველაფერი ნათელი არ არის, ეს მოვლენები მაინც ბევრ კითხვას აჩენს.***

– ამ კითხვებზე პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. მე აღარაფერი მკითხოთ, 25 ივლისს პრესკონფერენციის გამართვას ვაპირებ და სკანდალური ინფორმაციის გაჟღერება მინდა. ახლა მეტი არაფერი მკითხოთ, შეიძლება რაღაც წამომცდეს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სანდრა რულოვსი ზუგდიდში კენჭს იყრის?

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებზე ნაციონალები წარმატების მიღწევას შეძლებენ.**

***— ბატონო დავით, წინასაარჩევნო პერიოდი ქვეყანაში ამერიკის ელჩმა იან კელიმ დადებითად შეაფასა. მისი განცხადებით, პროცესი მშვიდ, ცივილიზებულ გარემოში მიმდინარეობს. თქვენი პოზიცია როგორია?***

— კორცხელის ინციდენტის შემდეგ მართლაც არ ყოფილა მსგავსი ინციდენტი, მაგრამ კორცხელის ინციდენტის მონაწილე პირები არაადეკვატურად დაისაჯნენ. ეს საფრთხეს ქმნის, რომ დაუსჯელობის სინდრომი მსგავს ძალადობას წაახალისებს. ახლა კი მაჟორულ ნოტზე ხდება „ქართული ოცნების“ მხრიდან მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა, მაგრამ მათი შანსები ნაკლებია და, ალბათ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო ენერგიულად მიმართავენ მსგავს მეთოდებს. ნინოწმინდაში ვიყავი ცოტა ხნის წინ და არა მხოლოდ ჩვენი პარტიის წევრები, სხვა პარტიების წარმომადგენლებიც საუბრობენ სუსის გააქტიურებაზე.



***— თქვენ მაჟორული ნოტი ახსენეთ, რაც ასევე იგრძნობა ნაციონალური მოძრაობის მხრიდანაც თუნდაც კანდიდატების წარდგენისას. არ არის გამორიცხული, რომ ზუგდიდში ყოფილმა პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა იყაროს კენჭი. როგორ მივიდა პარტია ამ დასკვნამდე, რომ სწორედ სანდრა რულოვსია გამსვლელი კანდიდატი ზუგდიდში?***

— მაჟორული ნოტი ამ შემთხვევაში მე ირონიულად ვახსენე, რადგან არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო პერიოდში თუ რამე პრობლემა გაჩნდება, მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზე მოდის, თორემ არცერთი პარტია მაჟორულ ნოტს არ უნდა გაურბოდეს, მით უფრო წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

ჩვენი მიზანია, წყნარად შევხვდეთ ამომრჩეველს და ჩვენი სათქმელი მივიტანოთ მასთან. თუ ვიღაცას ჩვენი გზავნილები არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოს. რაც შეეხება თქვენს კითხვას ქალბატონ სანდრასთან დაკავშირებით და მის შანსებს ზუგდიდში, გეტყვით, რომ თუ ქალბატონი სანდრა ამ შეთავაზებას დათანხმდება, ეს ძალიან კარგი იქნება.

***— როდესაც საუბარია მაჟორიტარულ ოლქზე, პარტიები პოლიტიკური გამოცდილების მქონე, წონად კანდიდატებს არჩევენ ხოლმე. ქალბატონი სანდრას შემთხვევაში რა იყო ამ გადაწყვეტილების მთავარი მოტივი?***

— როდესაც ამის შესახებ გავიგე, მივიჩნიე, რომ ეს კარგი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს თავად სანდრა რულოვსი, დათანხმდება თუ არა ის პარტიის შეთავაზებას. პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ალბათ, იქნება ამ საკითხზე საუბარი და მსჯელობა. რაც შეეხება გამოცდილებას, სანდრა რულოვსი იყო პირველი ლედი 9 წლის განმავლობაში და მას არ აკლია გამოცდილება.

***— პირველი ლედობა ხომ არ ნიშნავს პოლიტიკურ გამოცდილებას?***

— პირველი ლედობა ნიშნავს საზოგადოებრივ ურთიერთობებში გამოცდილებას, ასევე პოლიტიკაში ჩახედულობას, რადგან მის თვალწინ ხდება ყველაფერი. როგორც პირველი ლედი, ის საკმაოდ აქტიური იყო, აქტიური იყო გარკვეული მიმართულებებით, განსაკუთრებით ჯანდაცვის მიმართულებით.

***— რატომ ზუგდიდი მაინცდამაინც, იმიტომ ხომ არა, რომ მეგრული იცის?***

— თუნდაც ესეც არის ფაქტორი. ყველამ იქ რომ იყაროს კენჭი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ამ ლოგიკით ქალბატონ სანდრას ჰოლანდიაში მოუწევს კენჭისყრა. ქალბატონი სანდრა საქართველოს მოქალაქეა. მას ნებისმიერ რაიონში ჰყავს მხარდამჭერი და შეუძლია, კენჭი იყაროს.

***— ცხადია. ზუგდიდზე იმიტომ გკითხეთ, რომ, მაგალითად, ირაკლი ალასანიამ, რომელიც სერიოზული კანდიდატი იყო, ზუგდიდი წააგო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. მართალია, საუბარი იყო შიშის ფაქტორზე, მაგრამ ფაქტია, რომ ალასანიამ ზუგდიდი წააგო.***

— ზუგდიდში თუ იყო შიშის ფაქტორი და ამიტომ წააგო ალასანიამ არჩევნები, ხაშურში არ იყო შიშის ფაქტორი, რომელიც მოიგო „ოცნებამ“?! ასევე თელავში არ იყო შიშის ფაქტორი?!

***— მაშინ ახალაიების ფაქტორზე ხდებოდა ხაზგასმა. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

— როლანდ ახალიას ფაქტორი რატომ იყო ალასანიას მომხრეებისთვის შესაშინებელი, ეს ძნელად მესმის. ვინმემ სოციოლოგიური კვლევები ჩაატარა ამ საკითხზე? ჩემთვის ალასანიას წაგება ზუგდიდში მარტივი ასახსნელია — მან კონკურენტულ ბრძოლაში წააგო. ისევ სანდრა რულოვსს რომ დავუბრუნდე, მას აქვს მაღალი ცნობადობა, იცნობს ზუგდიდს და, ალბათ, ამიტომაც შესთავაზეს. ვერ ვხვდები, რატომ არის ეს ასე საინტერესო.

***— კარგი, დავაკონკრეტებ — რატომ ზუგდიდში და არა, მაგალითად, ვაკეში?***

— ვაკეში?! ვაკეში გვყავს კანდიდატი. ნებისმიერ რაიონში შეიძლება იყაროს კენჭი. მას აქვს მაღალი ცნობადობა, გარკვეული უნარები და შეუძლია, ყველგან იყაროს კენჭი, თუმცა ჯერ მხოლოდ შეთავაზებაა და არ ვიცი, მიიღებს თუ არა გადაწყვეტილებას.

***— მან თქვა, რომ კონსულტაციებს მიხეილ სააკაშვილთან გაივლის.***

— ალბათ, გაივლის, მაგრამ, არ მგონია, რომ მას გაუჭირდეს, პირადად მიიღოს ეს გადაწყვეტილება.

***— ნაციონალურმა მოძრაობამ თქვა, რომ პარტიას განაახლებდა, რომ ახალი სახეები გამოჩნდებოდნენ წინა პლანზე. ქალბატონი სანდრას გამოჩენა ამ გზავნილს ხელს შეუწყობს?***

— განახლება სულაც არ ნიშნავს სრულიად ახალი და უცნობი სახეების პოლიტიკაში გამოჩენას. შეიძლება პოლიტიკაში იყოს ან არ იყოს ადამიანი და ის იყოს ახალი სახე და საზოგადოებამ მას შეხედოს, როგორც ახალს, სიახლის მომტანს. ქალბატონი სანდრა პოლიტიკიდან შორს არ იყო, მაგრამ მას პირადად მონაწილეობა არ მიუღია. ის არასდროს ყოფილა გადაწყვეტილების მიმღები პირი და, შესაბამისად, ის არის ახალი.

***— ლევან ვარშალომიძე არის გამსვლელი კანდიდატი? ის არ არის ახალი პოლიტიკაში.***

— ლევან ვარშალომიძე არის გამსვლელი კანდიდატი. მას ყველა ბათუმელი პირისპირ იცნობს. მე არ ვამბობ, რომ ყველა ბათუმელი მისი მხარდამჭერი და მომხრეა, მაგრამ მის გაკეთებულ საქმეებს ბათუმში კარგად იცნობენ. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ მას დაუფასდება ის საქმეები, რომლებიც წლების განმავლობაში ბათუმში უკეთებია.

***— თუმცა სერიოზული კონკურენტები ეყოლება ვარშალომიძეს ბათუმში. საუბარია დავით ბერძენიშვილზე.***

— დავით ბერძენიშვილს ბათუმში ნამდვილად მაღალი ცნობადობა აქვს, მე ვიტყოდი, არანაკლები, მაგრამ მას არ იცნობენ, როგორც ხელმძღვანელ პირსა და განხორციელებული პროექტების ავტორს, განსხვავებით ვარშალომიძისგან.

***— თუმცა კითხვის ნიშნები ბატონ ლევანთან არის, რომლებიც სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდს უკავშირდება.***

— კითხვის ნიშნები არ არის მაშინ, როდესაც არაფერი გაქვს გაკეთებული. ლევანს აქვს გაკეთებული საქმეები, ამიტომ მგონია, რომ ჩვენ შევძლებთ წარმატების მიღწევას.



## მარტინ შულცი: „ევროკომისია ევროპულ მთავრობად უნდა გადაკეთდეს“

გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში ევროპარლამენტის პრეზიდენტი მარტინ შულცი გამოდის მოსაზრებით, რომ ევროკომისია ევროპის „ნამდვილ მთავრობად გადაკეთდეს“.

— ბრექსიტის შემდეგ, გლობალური პოლიტიკური მძიმეწონიანი ევროპა, რომელიც კოსმოპოლიტიზმზე, ტოლერანტობაზე, მრავალფეროვნებასა და პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებაზე დგას, კარგავს წონას.

ბევრი შიშობს, რომ ეს იქონიებს დომინოს ეფექტს, დაგეგმილი თუ მოთხოვნილი რეფერენდუმების ფონზე, რამაც ევროპის იდეის დასასრულამდე შეიძლება მიგვიყვანოს, — აცხადებს შულცი.

ევროპარლამენტის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ გამოსავალი ევროპის „გადატვირთვა“, ხელახალი დაწყებაა.

— ამისთვის აუცილებელია, რომ ევროკომისია, რომელიც სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან იქნება დაკომპლექტებული, გადაკეთდეს ნამდვილ ევროპულ მთავრობად, ხოლო ის ევროპარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული, რომელსაც თავის მხრივ ექნება მეორე პალატა, — აღნიშნავს ევროპარლამენტის პრეზიდენტი.

**ინტერპრესნიუსი**

## სერგეი ლავროვი: „ბუქარესტის სამიტმა სააკაშვილს თავი დააკარგვინა“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის მოსაზრებით, ბუქარესტის სამიტზე მიღებული დაპირების გამო, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდებოდა, სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყო.

ამის შესახებ ლავროვმა ერთ-ერთ რუსულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

სერგეი ლავროვი:

— 2008 წელს, ბუქარესტში, ნატოს სამიტზე, ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, უნდა გაეგზავნოს თუ არა საქართველოსა და უკრაინას ოფიციალური მიწვევა ალიანსთან მიერთების პროგრამის დასაწყებად.

ფორმალური, იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, მაგრამ ამის კომპენსირება მოახდინეს პოლიტიკური ფრაზით შემაჯამებელ დოკუმენტში — ნატოს ქვეყნები დარწმუნებული არიან, რომ საქართველო და უკრაინა ნატოში იქნებიან.

ეს ყველაფერი მოხდა 2008 წლის აპრილში, უკვე აგვისტოში კი ამ დაპირებამ სააკაშვილს თავი დააკარგვინა და მან ცხინვალის, რუსი და ოსი მშვიდობისმყოფელების დაცხრილვის ბრძანება გასცა.

ნატოს წამქეზებელმა ფრაზამ, რომ თბილისი ნატო-ში იქნება, ამ საქმეში თავისი როლი შეასრულა, ამაში დარწმუნებული ვარ.

ლავროვის თქმით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სურს, საკუთარ რიგებში სულ უფრო მეტი ქვეყანა გააწევრიანოს და ისინი „რუსეთს მოსწყვიტოს“.

**ინტერპრესნიუსი**

## აკრძალავენ თუ არა გამარჯვების დღეს საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველო უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად განიხილება ევროპული ორიენტაციის ქვეყნებად. ნატოსკენ სწრაფვაში ყველაზე წინ საქართველოა. საქართველოსა და უკრაინას ჰპირდებიან ვიზალიბერალიზაციას, რომელიც მოლდოვამ ადრევე მიიღო.**

სამივე ქვეყნისათვის მსგავსი მოვლენები და ტენდენციებია დამახასიათებელი და სამივე სახელმწიფო ებრძვის საბჭოთა წარსულს.

ამიტომ, მოსალოდნელია, რომ საქართველოში გამეორდეს ის, რაც ახლა მოლდავეთში ხდება. ამ სახელმწიფოს მთავრობამ მოიწონა დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივა 9 მაისს ანუ გამარჯვების დღესასწაულზე ევროპის დღის დაწესების შესახებ. მთავრობაში განმარტავენ, რომ 9 მაისს ოფიციალურად აღინიშნება გამარჯვების დღეც და ევროპის დღეც.

ინიციატივის ავტორების აზრით, ამას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მოლდავეთისათვის, რომელმაც საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად ევროპული ორიენტაცია აირჩია.

ბუნებრივია, რომ ამ ინიციატივას ჰყავს მოწინააღმდეგეები. ერთ-ერთი მათგანია გაგაუზიის მხარის ხელმძღვანელი ირინა ვლახი, რომელიც მთავრობის წევრია.

მისი თქმით, დაგეგმილია არა ორი დღის გაერთიანება, არამედ გამარჯვების დღის სახელმწიფო დღესასწაულების რეესტრიდან ამოღება და მის მაგივრად ევროპის დღის ჩასმა.

ვლახის განმარტებით, 9 მაისი იმ იშვიათ ეროვნულ დღესასწაულებს მიეკუთვნება, რომელიც ეროვნების, ერისა და სარწმუნოების მიუხედავად, ყველას აერთიანებს. 9 მაისისათვის სხვა იდეოლოგიური დატვირთვის მიცემის მცდელობა დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს მთელ მოლდავეთში.

მისივე განცხადებით, ევროპის დღედ შესაძლებელია წელიწადის ნებისმიერი სხვა 364 დღის გამოცხადება. ამით მისი ინიციატორები დაამტკიცებენ თავიანთ ტოლერანტობასა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას. გაგაუზიის ხელმძღვანელმა მიმართა პარლამენტის ფრაქციებს, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის არ დაუჭირონ მხარი ამ ინიციატივას.

9 მაისის ევროპის დღედ გამოცხადება ადრე კიშინიოვის მერმა კირტოაკემაც ცადა, მაგრამ უმაღლესი სასამართლოს პალატამ მისი გადაწყვეტილება გააუქმა.

უკრაინაში ჯერჯერობით 9 მაისისთვის ვერ მოიცალეს. იქ საბჭოთა წარსულს სხვანაირად ებრძვიან. დეკომუნიზაციის კანონის თანახმად, იცვლება სახელწოდებები.

ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიდო ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა. მისი განკარგულება ოდესაში ქუჩების გადარქმევის შესახებ არ იყო შეთანხმებული ქალაქ ოდესის თვითმმართველობასთან. ამიტომ ოდესელებმა ჯერ არ იციან, ვისი ინიციატივით ჩნდება ქალაქში ახალი წარწერები. სააკაშვილს დაგეგმილი აქვს მარშალ ჟუკოვის, ასევე ტერეშკოვასა და ოსტროვსკის სახელების გაქრობა და მათ სხვებით ჩანაცვლება, ასევე სხვა სახელწოდებების შეცვლა. ბელინსკის ქუჩას ოდესაში ამ დღეებში



ლეონტოვიჩის სახელი დაერქვა, ოღონდ, გაუგებარია რა კავშირი აქვს მე-19 საუკუნის ლიტერატურის კრიტიკოსს საბჭოთა წარსულთან და რატომ არ შეიძლება ოდესაში ბელინსკის ქუჩის არსებობა.

საქართველოში საბჭოთა მოღვაწეების სახელები და საბჭოთა სიმბოლიკა აღარ არსებობს. გორის საკრებულომ შარშან ზაფხულში მოქმედი კანონის საფუძველზე უარი თქვა გორში სტალინის ძეგლის დაბრუნებაზეც.

9 მაისს ჯერჯერობით არავინ შეხებია, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე, ევროპის მსგავსად, საქართველოშიც 8 მაისს უნდა აღინიშნებოდეს. მოქალაქეთა ნაწილის აზრით, ეს დღე საქართველომ საერთოდ არ უნდა იზეიმოს.

მართალია, საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, მაგრამ მოსალოდნელია, რომ გარკვეულმა ჯგუფებმა ამისთვისაც მოიცალონ და 9 მაისის თემა წამოსწიონ, რაც საზოგადოებაში დაპირისპირებას გამოიწვევს.

# „რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის არ დაკეტილა“

## ზვიად ჩიტიშვილი: „ნაციონალების აღარავის სჯერა და ტყუილად ნუ ხტუნაობენ“



**რა უნდა გააკეთოს ქვეყნის განვითარებისთვის, რატომ არ არის საჭირო ამდენი იურისტი და ეკონომისტი, რა დეზინფორმაციას ავრცელებენ ნაციონალები? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პარტია „ჩვენი სამშობლოს" ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.**

> **რუსეთს თავის ტერიტორიაზე ქართული პროდუქციის შეტანა არ აუკრძალავს. ეს დეზინფორმაცია ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა. ატეხეს ერთი ამბავი, თითქოს რუსეთის ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის დაიკეტა. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ძალიან მალე გაირკვა, რომ ეს ასე არ იყო. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ ქართულ პროდუქციასთან არანაირი პრეტენზია არა აქვთ.**

***— თქვენ ხშირად ამბობთ, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ რუსეთის ბაზარზე დაბრუნდეს. რუსეთი თავის მხრივ უარს ამბობს შეუშვას თავის ტერიტორიაზე ქართული პროდუქცია.***



## სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაჟო გადასახადი უნდა გაიზარდოს

— რუსეთს თავის ტერიტორიაზე ქართული პროდუქციის შეტანა არ აუკრძალია. ეს დეზინფორმაცია ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა. ატეხეს ერთი ამბავი, თითქოს რუსეთის ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის დაიკეტა. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ძალიან მალე გაირკვა, რომ ეს ასე არ იყო. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ ქართულ პროდუქციასთან არანაირი პრეტენზია არა აქვთ.

ამასთან დაკავშირებით მეც ვესაუბრე ჩემს ახლობლებს რუსეთში და ისინიც იგივეს მეუბნებიან. მათი თქმით, ქართული პროდუქცია უპრობლემოდ შევა რუსეთში. დარწმუნებული ვარ, წელს იქ კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გაიყიდება ქართული ღვინო. ქართველ მეწარმეებს წარმატებას ვუსურვებ, ხოლო ნაციონალებს ვურჩევ, ნუღარ ხტუნაობენ, მათი ლაპარაკის არავის სჯერა.

რუსული ბაზარი ასეთი უმნიშვნელო რომ ყოფილიყო, ამერიკა და ევროპა ერთმანეთს არ დაასწრებდნენ მის ასათვისებლად. ამ ბაზარზე ქართული პროდუქციის დამკვიდრებას ჩვენს პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

***— საარჩევნო პროგრამაში აქცენტი ძირითადად ეკონომიკაზე გაქვთ გაკეთებული?***

— აქცენტი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე იქნება გაკეთებული. ქვეყნის განვითარებისთვის მარტო ეკონომიკა არ კმარა. ჩვენი საარჩევნო პროგრამა ახლო მომავალში გამოქვეყნდება. მანამდე იმ საკითხებს დავასახელებთ, რაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია.

***— ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რა მიგაჩნიათ?***

— მნიშვნელოვანი საკითხები ბევრია. პირველ საკითხად დავაყენებდი იმას, რომ პარლამენტში პრეზიდენტის და მთავრობის საპარლამენტო მდივნის მსგავსად, საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანიც უნდა იჯდეს.

საკანონმდებლო ორგანოში სხვა საკითხებთან ერთად იხილება განათლების, მედიცინის, რელიგიის საკითხები.... ამ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საპატრიარქოს პოზიცია გათვალისწინებული არ არის. რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია. საკანონმდებლო ორგანომ საპატრიარქოს პოზიცია ყველა მნიშვნელოვან საკითხზე უნდა გაითვალისწინოს. უხერხულია, არასამთავრობოებს ყველაფერზე ჭკუას ეკითხებოდე, საპატრიარქოს აზრს კი არ ითვალისწინებდე.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. ხელისუფლება ასეთი ხალხის მოძიებით უნდა იყოს დაკავებული.

***— ასეთი იოლია კვალიფიციური კადრების მოძიება?***

— თუ მოინდომებენ, იპოვიან. ახლა მთავარ ყურადღებას რატომღაც დასავლეთში განათლებამიღებულ ადამიანებს ექცევა. შეიძლება ადამიანს კემბრიჯის და პრინსტონის უნივერსიტეტები ჰქონდეს დამთავრებული, მაგრამ გამოცდილება არ ჰქონდეს. გამოუცდელობით შესაძლოა რაღაც ღილაკს დააჭიროს ხელი და მთელი ქარხანა აგიფეთქოს. არაპროფესიონალებმა და დილეტანტებმა დაღუპეს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენს პარტიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამოძიება. სხვა საკითხებთან ერთად, ისიც უნდა შევისწავლოთ, ვის და რატომ მიანიჭა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა.

რამდენიმე ათეულ ათას უცხოელს ქართულ პასპორტს გადარეული სააკაშვილი ასე უბრალოდ არ დაურიგებდა. ამ დროს ასეულობით ათას ჩვენს თანამემამულეს ჩამორთმეული აქვს საქართველოს მოქალაქეობა. საუბარია საქართველოს ფარგლებს მიღმა მცხოვრებ ქართველებზე.

## მიწა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მივყიდოთ



ქართველ ემიგრანტებს აუცილებლად უნდა მივცეთ ქართული პასპორტები, ეს მათ ნამდვილად სჭირდებათ.

სასარგებლო წიაღისეული ენერგორესურსები, მინერალური წყლები, ჰიდროელექტროსადგურები, ქვანახშირის და ნავთობის საბადოები, ხე-ტყე, მდინარეები, ტბები და საზღვრისპირა ზოლი მთლიანად უნდა გადავიდეს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში.

***— ეს ყველაფერი თუ უკვე გასხვისებულია?***

— სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს და გამოისყიდოს. მიწა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მივყიდოთ. სასაზღვრო ზოლი კი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდეთ. ეს იქნება იმის გარანტია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ქართველები შევლენ და წინაპრების ადგილზე გააგრძელებენ ცხოვრებას.

***— აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ასე მარტივად შეუშვებენ ქართველებს?***



## ქართველ ემიგრანტებს აუცილებლად უნდა მივცეთ ქართული პასპორტები

— შეუშვებენ. რუსეთში მზად არიან დევნილების დაბრუნებაში დაგვეხმარონ. მთავარია 8 ოქტომბერს ისეთი ხელისუფლება ავირჩიოთ, რომლისთვისაც მთავარი საქართველოს ინტერესები იქნება და არავის პოლიტიკას არ გაატარებს. ასეთ შემთხვევაში რუსეთი კონფლიქტების დარეგულირებაში დაგვეხმარება.

ორმაგო მოქალაქეობა ეკონომიკურადაც მომგებიანი იქნება ჩვენი დევნილებისთვის. მოგეხსენებათ, რომ რუსეთში პენსია 250 დოლარიდან იწყება და 1.200 დოლარამდე ადის. რატომ უნდა თქვან დევნილებმა ამ სიკეთეზე უარი.

ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ერგნეთის ბაზრობის ამოქმედებას. შევარდნაძის დროს ამ ბაზრობამ ქართულ-ოსური ურთიერთობები ფაქტიურად მოაგვარა. ახლაც ასე იქნება.

***— ერგნეთის ბაზრობის გახსნას საქართველოს ხელისუფლებაც უჭერს მხარს, მაგრამ ეს საკითხი მაინც არ დაიძრა მკვდარი წერტილიდან. იქნებ ოსებს არ უნდათ ამის გაკეთება?***

— ოსური მხარე დაინტერესებულია, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს. მათ მიწაც კი გამოყვეს ბაზრის მოსაწყობად. ამ საკითხზე მოლაპარაკებები ექვსჯერ გავმართეთ საქართველოს ხელისუფლებასთან, ხელისუფლებამ ექვსჯერვე ჩაშალა ეს პროექტი.

საუბარი რუსული ბაზრით დავიწყეთ და ამ თემას კიდევ ერთხელ შევეხები. ამ ბაზრის ათვისება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია. ქართული ღვინო მთელს მსოფლიოში გადის, მაგრამ რუსეთში 150-200%-ით მეტი ღვინო იყიდება, ვიდრე სხვაგან ერთად აღებული.

საქართველოში უგემრიელესი ხილი და ბოსტნეული მოდის. გინახავთ, რომ ეს პროდუქცია თურქეთში მიდიოდეს? სამაგიეროდ, ქართულ ხილზე, ბოსტნეულსა და ციტრუსზე რუსეთშია დიდი მოთხოვნილება.

დიდი შანსია ავაღორძინოთ ჩაის კულტურა. საქართველოში წარმოებულ ჩაის მთლიანად რუსეთი მოიხმარს.

ნაციონალების მსგავსად, ევროპელები და ამერიკელები ამტკიცებენ, რომ რუსული ბაზარი სანდო არაა, ამ დროს თავად ერთმანეთს ხოცავენ ამ ბაზრისთვის.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ ქართველ ბიზნესმენებს, რომლებსაც რუსეთში საქმიანობა და საქართველოში დოვლათის შემოტანა სურთ, პირადად დავეხმარები ბიზნესვიზების მოპოვებაში.

საქართველომ აუცილებლად უნდა ისწავლოს როგორც ეკონომიკის, ასევე პოლიტიკის დაგეგმვა. ჩვენს ქვეყანას ამდენი იურისტი და ეკონომისტი არ სჭირდება.

***— აბა რა დარგის სპეციალისტებია საჭირო?***

— საქართველოში ტექნიკური კადრების დეფიციტია. ამ დროს რუსეთში საუკეთესო მეტროს ხაზები, რკინიგზა, ხიდები ქართველების აშენებულია.

თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაჟო გადასახადი უნდა გაიზარდოს, რათა ადგილობრივი სოფლის მეურნეობა განვავითაროთ.

გასაგებია, რომ აქ ბანანი არ მოდის და ის საიდანღაც უნდა შემოვიტანოთ, მაგრამ რატომ უნდა შემოდიოდეს საქართველოში პომიდორი და კარტოფილი თურქეთიდან, ხოლო ხახვი და ნიორი ეგვიპტიდან. ამ პროდუქციაზე საბაჟო გადასახადის გაზრდით ქართველ ფერმერებს დავეხმარებით.. ჩვენ მზად ვართ, ასობით მილიონერი ქართველი შემოვიყვანოთ რუსეთიდან. მათი დახმარებით სწრაფად ავაღორძინებთ ქართულ ეკონომიკას.

ჩვენ აუცილებლად დავწევთ საპენსიო ასაკს და მრავალშვილიან ოჯახებს ხელფასს დავუნიშნავთ.




## ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ერგნეთის ბაზრობის ამოქმედებას

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „შორს ვართ ნებისმიერი არასახელმწიფოებრივი ქმედებისგან“

## დემირელის სახელობის კოლეჯისა და მისი პარტნიორი სკოლების განცხადება

საქართველოში მოქმედი სკოლები: რუსთავის „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“, მარნეულის „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა“, ქუთაისის „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“, თბილისის „ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა“, თბილისი სკოლა-ლიცეუმი ,,სხივი“ და ბათუმის რ. შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი „მეგობრობა“ ვეხმაურებით გასულ დღეებში მედია საშუალებებით რამდენიმე პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ აბსურდულ ბრალდებას და ვგმობთ ნებისმიერი ტიპის იმიჯისა და რეპუტაციის შემლახველ განცხადებებს.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო დაწესებულებები ცალსახად ვემიჯნებით ნებისმიერ პოლიტიკურ, კანონსაწინააღმდეგო და არასახელმწიფოებრივ საქმიანობას. ასევე ვგმობთ ნებისმიერ მცდელობას, გარე და შიდა პოლიტიკურმა ძალებმა გამოიყენონ ჩვენი სკოლები, როგორც პოლიტიკური იარაღი. ჩვენთვის მიუღებელია ჩვენი მოსწავლეებისა და პედაგოგების სახელის ხსენება ისეთ კონტექსტში, როგორიცაა „ტერორიზმი“ და „ექსტრემიზმი“.

ჩვენს სკოლებში საგანმანათლებლო პროცესი ღია და გამჭვირვალეა. სწავლება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის მიხედვით და სკოლების ფუნქციონირება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

სკოლების მთავარი მიზანი განათლებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ჯანსაღი და თავისუფალი მოქალაქეების აღზრდაა. შორს ვართ ნებისმიერი არასახელმწიფოებრივი ქმედებისგან და ერთგული შრომით ვემსახურებით ღირსეული მოქალაქეების აღზრდას.

ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში გაიზარდნენ საამაყო ქართველები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: ზაზა ფაჩულია, ზვიად მეტრეველი (აშშ), გიორგი კოჭლამაზაშვილი (იაპონია), ირაკლი მარღანია (აშშ), დემეტრე გვარამია (აშშ), გ. კაპანაძე (გერმანია) და სხვა მრავალი.

ამ წლების განმავლობაში ჩვენმა კურსდამთავრებულებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის აღმშენებლობაში და დემოკრატიული ფასეულობების დაცვაში. თითოეული მოსწავლე ჩვენი სიამაყეა! ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წვლილით ქვეყნის აღმშენებლობაში!

სკოლები: რუსთავის „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“, მარნეულის „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა“, ქუთაისის „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“, თბილისის „ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა“, თბილისი სკოლა-ლიცეუმი ,,სხივი“ და ბათუმის რ. შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი „მეგობრობა“ კიდევ ერთხელ ვემიჯნებით ნებისმიერი ტიპის პოლიტიკურ აქტივობას და მოვითხოვთ დაცული იყოს ჩვენი მოსწავლეებისა და პედაგოგების უფლებები.

ვირუსული ბრალდებების ფონზე ვიყენებთ ჩვენს იურიდიულ უფლებას, შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ გაყალბებულ ცილისწამებაზე.



# საგანგებო მდგომარეობა თურქეთში ტურისტებზე არ ვრცელდება

საქართველოში თურქეთის საელჩომ გაავრცელა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ 21 ივლისს თურქეთში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა არ ვრცელდება თურქეთში ჩამოსულ ტურისტებზე.

– 2016 წლის 21 ივლისიდან მთელ ქვეყანაში სამი თვით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა არის საკონსტიტუციო სამართლებრივი წესების ფარგლებში შემოღებული რეგულაციების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომების გაზრდას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების საფრთხეებთან სახელმწიფოს ბრძოლის საკითხში, – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნული რეგულაციების პაკეტი არ ითვალისწინებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვას.

– დაწესებული უსაფრთხოების ზომები გავლენას არ ახდენს თურქეთის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებასა და თურქეთში ჩამოსული სტუმრების გადაადგილებებსა და დასვენებებზე, არ ქმნის რაიმე სახის წინაღობას საერთაშორისო ტურიზმსა და საჰაერო გადაადგილებებზე. არ არსებობს რაიმე უარყოფითი მდგომარეობა, რომელიც გავლენას მოახდენს თურქეთის სხვადასხვა ადგილას მყოფი სტუმრების დასვენების უსაფრთხოებაზე, – აღნიშნულია განცხადებაში.



# რუსეთმა თურქეთში რეგულარული ავიარეისები განაახლა

რუსეთმა თურქეთში რეგულარული ავიარეისები განაახლა. შესაბამის ინფორმაციას რუსეთის საჰაერო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტო, „როსავიაცია“ ავრცელებს.

უწყების ცნობით, თურქულმა მხარემ რუსეთი დაარწმუნა, რომ თურქეთის ყველა აეროპორტში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები მოქმედებს.

რუსეთმა თურქეთში რეგულარული ავიარეისების შესრულება სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ დროებით შეაჩერა.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისში ტაქსებს ახალ რეგულაციებს უმზადებენ



თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, მომავალი წლის სექტემბრიდან თბილისში ტაქსებისთვის ახალი რეგულაციები განხორციელდება.

ამის შესახებ ირაკლი ლექვინაძემ ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოში განუცხადა, სადაც სხდომაზე თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ახალი ხელმძღვანელის დანიშნვა მოხდა.

ირაკლი ლექვინაძე:

– მიმდინარეობს დოკუმენტაციის დამუშავება და ვფიქრობ, რომ მომავალი წლის სექტემბრიდან თბილისში შესაძლებელი იქნება ტაქსების მიმართულებით ახალი რეგულაციების განხორციელება.

რეგულაციები არის მინიმალური, უმტკივნეულო. ყოველგვარი დანახარჯების გარეშე შეეძლებათ ამ სფეროში თვითდასაქმებულ ადამიანებს ამ პროცედურების გავლა. მისი მთავარი ამოსავალი წერტილი არის ორი მიზანი, ეს არის ავტომობილის უსაფრთხოება და მძღოლის უსაფრთხოება, რაც ძალიან აქტუალურია დღეს და აწუხებს ტაქსით გადაადგილებულ თბილისელებს და თბილისის სტუმრების უმრავლესობას.

ლექვინაძის თქმით, მინიმალური სახის რეგულაციები დაწესდება როგორც ავტომობილის, ასევე მძღოლისთვის, რომლის გავლის შემთხვევაში პირებს საშუალება ექნებათ განახორციელონ ტაქსით მომსახურება.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოდარ ხადური: „ბიუჯეტი მოსახლეობის დოკუმენტია“



– ჩვენ ერთ წამს არ დავკარგავთ, რათა მოსახლეობამ ირწმუნოს, რომ ბიუჯეტი მათი დოკუმენტია.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ბიუჯეტირების პრინციპულად განსხვავებული ფორმატის დანერგვასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ნოდარ ხადური:

– ჩვენ ვმუშაობთ შესაბამის სამსახურებთან ერთად. შემუშავებულია პროგრამა და მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ადამიანების სურვილები გავითვალისწინოთ. როგორც ჩანს, თავიდან ეს განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტების დონეზე.

ჩვენ ერთ წამს არ დავკარგავთ, რათა მოსახლეობამ ირწმუნოს, რომ ბიუჯეტი მათი დოკუმენტია არა მარტო შევსებისა და ხარჯის, არამედ შედგენის თვალსაზრისით

მთავრობა მმართველობითი რეფორმის ახალი ეტაპის ფარგლებში, ბიუჯეტირების პრინციპულად განსხვავებული ფორმატის დანერგვას გეგმავს. როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში განმარტავენ, ბიუჯეტირების პრინციპულად განსხვავებული ფორმატი ადგილებზე მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

# მოწმე: „კუდმა ცრუ ჩვენება მიმაცემინა“

ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე, რომელზეც ბრალი კუდის ყოფილ მაღალჩინოსანს გიორგი დგებუაძეს, მეტსახელად „მასტერას“ და კუდის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას აქვთ წაყენებული, 2006 წელს ჩატარებული გამოძიების მთავარი მოწმე დაიკითხა.

მოწმემ აღნიშნა, რომ ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე მაშინ ცრუ ჩვენება მიაცემინეს. მოწმის ინფორმაციით, მან რამდენჯერმე ითანამშრომლა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან და მისი მონაწილეობით ორი დანაშაული გაიხსნა.

– მე დავიწყე თანამშრომლობა კუდთან მას შემდეგ, რაც ჩემი მონაწილეობით დააკავეს ყალბი ვიზების დამზადების ფაქტზე თურქი პირი. ამის შემდეგ შემომთავაზეს თანამშრომლობა, პირადად ლევან ქარდავასთან მქონდა ურთიერთობა და მას ვუკავშირდებოდი. ამ შემთხვევის შემდეგ ჩემი დახმარებით გახსნეს ტრეფიკინგის საქმეც.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მე ცხოვრების სტილი შევიცვალე, დავიწყე მსახური ეკლესიაში და ამიტომ გადავწყვიტე, შემეწყვიტა კუდთან ურთიერთობა. ასეც მოვიქეცი, როცა ვუთხარი, რომ მათთან ველარ ვითანამშრომლებდი, არავითარი წინააღმდეგობა ან ზეწოლა არ ყოფილა ჩემზე, – განაცხადა მოწმემ.

როგორც მან სასამართლოში დაკითხვისას აღნიშნა, 2006 წლის 14 იანვარს მას კუდიდან დაუკავშირდნენ და შეხვედრა მოსთხოვეს.

– დამირეკა ვინმე გიამ, მეტსახელად „ნაცმა“. ეს არ იყო შეხვედრის თხოვნა, ეს იყო მოთხოვნა. როცა ვუთხარი, რომ ვერ შევხვდებოდი, მითხრა, რომ აუცილებლად უნდა შემხვედროდა, – განაცხადა მოწმემ.

მან გადაწყვიტა, არ გაემწვავებინა ვითარება და ამიტომ დათანხმდა.

– დამიბარა ნავთლუღში. როდესაც მივედი, მითხრა, რომ უნდა მიმეცა ჩვენება – თითქოს ვმუშობდი ნავთლუღის ტერიტორიაზე და შევესწარი ორმხრივ სროლას, ასევე დავინახე, ახალგაზრდები როგორ გარბოდნენ იარაღით ხელში.

ეს იყო მოთხოვნა და ჩავთვალე, თუ არ შევასრულებდი, ჩემი საქმე კარგად არ იქნებოდა. ამიტომ წავყევი გამომძიებელთან, სადაც მოვყევი დაზეპირებული ტექსტი, – განაცხადა მოწმემ და აღნიშნა, რომ მის დაკითხვას თავად „გია ნაციც“ ესწრებოდა.

ბრალდებულმა გიორგი დგებუაძეს მოწმეს ჰკითხა:

– უთქვამს თუ არა ვინმეს, რომ ცრუ ჩვენების მიცემა მისი დავალება ან მოთხოვნა იყო?

მოწმემ უპასუხა, რომ ეს არავის უთქვამს და ამიტომ ამას



ვერ დაადასტურებს.

დგებუაძის თქმით, ვინმე გია, მეტსახელად „ნაცი“ მის დაქვემდებარებაში მსახურობდა და მოწმეს ჰკითხა, რატომ არ დაუკავშირდა ან მას ან ლევან ქარდავას, რათა ეცნობებინა, რომ მას ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

აღნიშნულ კითხვაზე მოწმემ უპასუხა, რომ მან აღარ გაამწვავა ვითარება და მიიჩნია, რომ ამის თქმას ვინმესთვის აზრი არ ჰქონდა.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ვოლსკი: „პაპუაშვილის განცხადებები სახელმწიფო ინტერესებს უპირისპირდება“



– პაპუაშვილის განცხადებები სახელმწიფო ინტერესებს მნიშვნელოვანწილად უპირისპირდება იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეებზე ზეწოლის ნიშნებიც კი არ არსებობს.

ასე ეხმაურება საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის განცხადებებს.

მისივე განმარტებით, ვალდებულებაც კი აქვს პაპუაშვილს, რომ თუკი კონკრეტული დეტალები და ფაქტები იცის, საგამოძიებო ორგანოებში წარადგინოს.

– ეს სერიოზული საკითხია იმაზე მეტად, ვიდრე შეიძლება გვეგონოს... დამაფიქრებელი და საგანგაშოა მისი განცხადებები, – აღნიშნა ვოლსკიმ.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ცალკეული მოსამართლეების თვალთვლასა და დაშანტაჟებაზე საუბრობს.

პაპუაშვილის თქმით, მიზანმიმართული ზეწოლა მიმდინარეობს ძირითადად იმ მოსამართლეებზე, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებს განიხილავენ.

**ინტერპრესნიუსი**

# პეტრე ცისკარიშვილი: „დოლართან ხელოვნური ბრძოლა დაგვაზიანებს“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, მთავრობის მხრიდან დედოლარიზაციაზე საუბარი ჩვენი ეკონომიკისთვის დამაზიანებელია.

მისივე თქმით, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში თავისუფალი ბაზრის პრინციპის განუყოფელი პრინციპის დაცვის ნაცვლად, დოლარს და საქართველოში განხორციელებულ იმპორტულ ნაკადებს ებრძვიან, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის დამაზიანებელია.

**პეტრე ცისკარიშვილი:**

– ბოლო დღეებია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დედოლარიზაციაზე საუბრობენ.

თავისუფალი ბაზრის პრინციპის განუყოფელი პრინციპის დაცვის ნაცვლად, ეს ადამიანები დოლარს და საქართველოში განხორციელებულ იმპორტულ ნაკადებს ებრძვიან, რაც თავის მხრივ აზიანებს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებას, ინვესტიციების შემოსვლასა და შესაბამისად, სამუშაო ადგილების შექმნას. ხელოვნური ბრძოლა დოლართან, ჩვენი ეკონომიკისთვის დამაზიანებელია.

დეპუტატის განცხადებით, მოსახლეობას დოლარის ლარში გატანისკენ ის ადამიანები მოუწოდებენ, რომელთაც ანაბრები და ანგარიშები დოლარებში აქვთ.



– გარდა ამისა, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში კრედიტები ხელმისაწვდომი არაა, სავალუტო ბაზარზე ხელოვნური ჩარევა და სწორედ ხსენებული დედოლარიზაციის მავნებლური პოლიტიკაა.

აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ როცა ეს ადამიანები მოგვიწოდებენ დოლარები ლარში გადავიტანოთ, თავად მათ, მაგალითად – კალაძეს, ქუმსიშვილს და გვენეტაძეს, ანაბრები და მიმდინარე ანგარიშები (დეკლარაციის თანახმად) დოლარებში აქვთ, – განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**



# რა არის წითელი ქარი და როგორ ვუმკურნალოთ მას

წითელი ქარი კანის დაავადებაა. მისი გამომწვევია ჰემოლიზური სტრეპტოკოკი. დაავადება უფრო ხშირად წლის ცივ თვეებში გვხვდება. ინფექციის წყაროა კანისა და ლორწოვანას სხვადასხვა დაავადება. ჩირქოვანი ჭრილობები, რინიტი, ტონზილიტი, ანგინა და სხვ. იგი ძირითადად ვითარდება საკუთარ კანსა და ლორწოვანზე მცხოვრები სტაფილოკოკების გააქტივების შედეგად.

დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან სტრეპტოკოკები დერმის ლიმფურ ნაპრალებში იჭრებიან და იქ მრავლდებიან. სტრეპტოკოკებისაგან გამომუშავებული ტოქსინი ორგანიზმის ზოგად ინტოქსიკაციას ავითარებს. ლიმფურ ნაპრალებში შემოჭრილ სტრეპტოკოკებს დერმა ჰიპერემიით, შეშუპებითა და უჯრედოვანი ინფილტრაციით პასუხობს.

დაავადება იშვიათად ვითარდება გამომწვევის შემცველ სხვა ჩირქოვან კერებთან უშუალო შეხებით, ან სხვადასხვა საგნების საშუალებით. ავადმყოფობის ინკუბაციური პერიოდი 1-3, იშვიათად კი 6-8 დღეა. დაავადება უფრო ხშირად იწყება ერთბაშად, შემცივნებით, ტემპერატურა იმატებს სწრაფად, ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, გულისრევა და ღებინება. კანის იმ არეში, სადაც შემდგომ წითელი ქარი ვითარდება, ავადმყოფს აწუხებს დაჭიმულობის შეგრძნება და წვა. 1-2 დღის შემდეგ ამ ადგილზე კანი წითლდება, წამოიწევა ირგვლივ მყოფ ჯანმრთელ კანთან შედარებით, იჭიმება, პრიალებს, ვითარდება შეშუპება. შეხებისას ცხელია და მტკივნეული. ლაქა თანდათან იზრდება პერიფერიისაკენ. მისი კიდე ყოველთვის დაკბილულია და შემოხაზულია მკვეთრი დემარკაციული ზოლით. ამით ცეცხლის ენებს მოგვაგონებს.

ერთმანეთისაგან ანსხვავებენ დაავადების რამდენიმე ფორმას.

ერითემული წითელი ქარისთვის დამახასიათებელია ჰიპერემიისა და შეშუპების განვითარება საკმარისად მოზრდილ უბანზე.

ბულუზური ფორმის დროს ერითემული ცვლილებების ფონზე კანზე ვითარდება სხვადასხვა ზომის სეროზული სითხით სავსე ბუშტუკები.

ჰემორაგიული ფორმის დროს ბუშტუკებში სისხლნარევი სითხე გროვდება.

ჩირქოვანი წითელი ქარის დროს ბუშტუკებში ჩირქია.

ფლეგმონური ფორმის დროს ჩირქი ვრცელდება კანქვეშა შემაერთებელ ქსოვილზე.

განგრენული ფორმის დროს კანის დაზიანებული ქსოვილი დანეკროზებას განიცდის.

წითელი ქარით დაზიანებული უბანი ზოგჯერ არ არის მკვეთრად შემოფარგლული. იჩენს მიდრეკილებას გავრცელებისაკენ და თანდათან ინაცვლებს ახლომდებარე ჯანმრთელი უბნებისაკენ. ეს მცოცავი წითელი ქარია. ზოგჯერ კი, განსაკუთრებით კიდურებზე, გამოტოვებს ჯანმრთელ უბნებს, გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე და წარმოქმნის მრავლობით ანთებით კერებს. ეს წითელი ქარის მეტასტაზური ფორმაა.



ხშირად წითელი ქარი აზიანებს სახეს, კიდურებს, ლორწოვან გარსებს. ახალშობილებთან იგი უფრო ხშირად ჭიპის ირგვლივ ვითარდება.

გაურთულებელ შემთხვევაში, დაავადება გრძელდება 5-8 დღე. ავადმყოფობა მიმდინარეობს ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენებით. სისხლში ნეიტროფილური ხასიათის ლეიკოციტოზით და ედს-ის აჩქარებით. 6-8 დღის შემდეგ ტემპერატურა ეცემა, ინტოქსიკაციის ხარისხი კლებულობს. კანი ნაზად იქერცლება და შემდგომ სრულად გამოჯანმრთელდება.

გართულებების შემთხვევაში შესაძლოა განვითარდეს კანის ნეკროზი, განგრენა, აბსცესი, ართრიტები, მენინგიტი, ნეფრიტი, პნევმონია და სხვ. განსაკუთრებით საშიშია წითელი ქარის სეფსისური ფორმა. არაიშვიათად, რეციდივულ წითელ ქარს სპილოვანობის განვითარება მოჰყვება. წითელი ქარის რეციდივი ადამიანის ორგანიზმში შესაძლოა სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე განმეორდეს. ავადმყოფის ორგანიზმი განკურნების შემდეგ მასზე იმუნიტეტს ვერ გამოიმუშავებს. პირიქით, წარმოიქმნება ორგანიზმის გარკვეული მიდრეკილება განმეორებითი დაავადებისადმი ისევ იგივე უბნის დაზიანებით.

ავადმყოფობის დიაგნოსტირება ხდება კლინიკური სურათის მიხედვით. მკურნალობა მიმდინარეობს ანტიბიოტიკების გამოყენებით. მძიმე ინტოქსიკაციის შემთხვევაში ინიშნება კორტიკოსტეროიდული პრეპარატები. კანის ძლიერი ანთებითი ცვლილებების შესამცირებლად გამოიყენება კორტიკოსტეროიდული პრეპატარატების მალამოების შეზელვა, ულტრაიისფერი სხივების ერითემული დოზებით დასხივება. აუცილებელია წოლითი რეჟიმის მკაცრი დაცვა. ჩირქოვანი გართულებების დროს შესაძლოა ქირურგიული ჩარევაც.

ავადმყოფობის პროფილაქტიკა ძირითადად კანის სათანადო მოვლასა და პირადი ჰიგიენის დაცვაში მდგომარეობს. სტრეპტოკოკის ხელახალი გააქტივების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სტრეპტოკოკული ინფექციის ქრონიკული კერების მკურნალობა.

წითელი ქარით დაავადებული ადამიანი გადამდები არ არის.

# რა არის პოლინოზი

პოლინოზი სეზონური ხასიათის ალერგიული დაავადებაა, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა მცენარეების მტვრის მიმართ მომატებული მგრძნობელობით, სენსიბილიზაციით, ახასიათებს სასუნთქი გზების, კონიუნქტივის, კანის, ნერვული, საჭმლის მომნელებელი სისტემისა და შინაგანი ორგანოების დაზიანება.

პოლინოზის სიმპტომები: ქავილისა და წვის შეგრძნება ცხვირში ხშირი ცემინება, უხვი გამონადენი ცხვირიდან და გაძნელებული სუნთქვა, ქუთუთოების ქავილი და სიწითლე, შეშუპება, ცრემლდენა, თვალებში „ქვიშის" შეგრძნება, შეტევითი ხასიათის სუნთქვის უკმარისობა, ხველა, ქავილი და გამონაყარი კანზე.



პოლინოზის თვითგანკურნება არ ხდება იშვიათი შემთხვევების გარდა, ყოველ მომდევნო სეზონზე ალერგიული სიმპტომები უფრო და უფრო მძაფრდება. ალერგიული რინიტი ადექვატური მკურნალობის არარსებობისას, შესაძლოა გადაიზარდოს ბრონქული ასთმაში.

პოლინოზის დიაგნოსტიკისათვის მნიშვნელოვანია ალერგიული ანამნეზი, კანის სინჯები ალერგენებზე, პროვოკაციული სინჯები, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა — სპეციფიური იმუნოგლობულინის განსაზღვრა

პოლინოზის მკურნალობაში უმთავრესია გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა, ალერგენთან კონტაქტის თავიდან აცილება. რაც შეეხება მედიკამენტოზურ მკურნალობას, გამწვავების პერიოდში გამოიყენება ანტიჰისტამინური პრეპარატები. აუცილებელია მიმართოთ სპეციალისტს.

პოლინოზის მკურნალობის ეფექტური მეთოდია სპეციფიური იმუნოთერაპია, რაც მიმართულია ალერგენებზე ორგანიზმის მგრძნობელობის შემცირებისაკენ. ეს არის ერთადერთი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას დაავადების ხანგრძლივი და მდგრადი რემისია.

იმუნოთერაპიისას ხდება ავადმყოფის ორგანიზმში ინექციის გზით ალერგენის თანდათანობით მზარდი დოზების შეყვანა, შედეგად კი მცირდება სპეციფიური ჰიპერმგრძნობელობა.

უშუალოდ გამწვავების სეზონზე ალერგიის პროფილაქტიკის მიზნით თავი უნდა მოარიდოს ავადმყოფმა დილაობით, ქარიან ამინდში გარეთ გამოსვლას, ქალაქგარეთ გასვლას, სადაც მოყვავილე მცენარეებია. ასევე ავადმყოფმა თავი უნდა აარიდოს მცენარეულ კოსმეტიკურ და ჰიგიენურ საშუალებებს, საკვები რაციონიდან უნდა იქნეს ამოღებული ალერგიის გამომწვევი საკვები პროდუქტები. ყვავილობის სეზონის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს ექიმ-სპეციალისტის მიერ დანიშნული მკურნალობის კურსი, სხვაგვარად დაავადება თანდათანობით გართულდება.

# მკურნალი მცენარე

გვირილა — რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელია. არსებობს გვირილის 400-მდე სახეობა. თუმცა მედიცინაში გამოიყენება სამკურნალო გვირილა, რომელიც ერთწლიანი, 35-40 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. აქვს სწორი ღერო. ყვავის ივნისიდან ოქტომბრამდე.



სამკურნალო მიზნებისათვის აგროვებენ მის ყვავილებს. რომელიც შეიცავს ეთერზეთებს, სიტოსტერინს, იზო-ვალერიანის მჟავას, კაროტინს, წოლინს და ვიტამინებს. გვირილის ყვავილების ნაყენს იყენებენ, როგორც ანთების საწინაალმდეგო, ტკივილგამაყჩებელ და ანტისპაზმურ საშუალებას, აგრეთვე ბრონქიალური ასთმის, ალერგიის, რევმატიზმის, კოლიტის, გასტრიტის, ეგზემის, დამწვრობის სამკურნალოდ. აგრეთვე ნაღვლის დამდენ და ოფლის მომგვრელ საშუალებას.

გვირილას ნაყენი გამოიყენება სტომატოლოგიაში.

***

ევკალიპტი — სწრაფმზარდი მარადმწვანე 50-70-100 მეტრ სიმაღლის ხეა მძლავრი ფესვთა სისტემითა და მკვრივი მერქნით. ღეროსა და ტოტების ქერქი მოთეთრო რუხია (ნაცრისფერი), რომელიც გრძელ ფილებად სძვრება ყოველწლიურად. ყლორტები ოთხწიბოიანია და ისე, როგორც ფოთლები, ნაცრისფერი ნაფიფქითაა დაფარული. მისთვის დამახასიათებელია ნაირფოთლიანობა. ბუნებრივად გავრცელებულია ავსტრალიასა და კუნძულ ტასმანიაზე. კულტივირებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში, უმთავრესად აჭარასა და აფხაზეთში.

ლურჯი, ანუ სფერული ევკალიპტი, სხვა სახეობის ევკალიპტებთან შედარებით, რამდენადმე უფრო ყინვაგამძლეა.

ევკალიპტის ზეთი და ფოთლების ნაყენი ანტისეპტიკური თვისებების გამო ფართოდ გამოიყენება, როგორც საინჰალაციო საშუალება სასუნთქი გზების დაავადების, ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის, აბსცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ინფიცირებული ჭრილობების, კანზე გამონაყარისა და წყლულების მოსაბანად. ნაყე-



ნი კუჭ ნაწლავის მწვავე დაავადებების დროს გამოიყენება, მასვე ხმარობენ კანის ზოგიერთი ჩირქოვანი დაავადების სამკურნალოდ. დიდი გამოყენება აქვს ევკალიპტის ზეთს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ევკალიპტის ფოთლები ცხელი ნაყენის სახით გამოიყენება (5 გრამი ფოთოლი ერთ ჭიქა წყალზე) ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის დროს. ამავე დაავადებების დროს უფრო ეფექტურად მოქმედებს ევკალიპტის ეთერზეთი ინჰალაციის წესით გამოყენებისას. მზესუმზირას ზეთში გახსნილი ეთერზეთი კარგი საშუალებაა ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთებისას (ზეთს ისხამენ ცხვირის ნესტოებში გრიპისა და რესპირატორული დაავადების დროს); ევკალიპტის ეთერზეთი, სხვა ეთერზეთებთან ერთად (ქაფურის, ქაფურის სპირტთან და სხვ.), ეფექტურად მოქმედებს გაციებით გამოწვეული დაავადებების და რევმატიზმის წინააღმდეგ, იზელენ მტკივნეულ ადგილს.

***

ხახვი — უძველესი დროიდან თითქმის ყველა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ლამის პანაცეად მიიჩნეოდა.

ხახვს, მისი შემადგენელი ფიტონციდების წყალობით ბაქტერიციდული თვისებები აქვს და ორგანიზმს ეხმარება დაავადებათა მიკრობების სეზონური შეტევებისგან იცავს.

ეს რკინით მდიდარი პროდუქტი ანემიის პროფილაქტიკისთვის საიმედო საშუალებაა. ხახვში ბევრია კალიუმი, ასკორბინის მჟავა და ასევე სხვა ვიტამინები და მინერალები. ახლახანს მეცნიერებმა ხახვში აღმოაჩინეს უნიკალური ნივთიერება კვერცეტინი — ანტიოქსიდანტი, რომელიც სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო აქტივობით ხასიათდება. ასევე აღმოჩნდა, რომ მწარე ხახვში გაცილებით მეტი ბუნებრივი შაქარია, ვიდრე ტკბილ ვაშლსა და მსხალში — დაახლოებით 14%.

ხახვი შეიცავს ვიტამინებს, ეთერზეთებს, ასევე კალციუმს, რკინას, მაგნიუმს, ფტორს, გოგირდს (სწორედ ამ ნივთიერების გამო აქვს ხახვს მკვეთრი სუნი) და ფლავონოიდებს.

თავიანი ხახვის წვენი ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, რომელიც ადამიანს გაციებისგან და ინფექციური დაავადებებისგან იცავს. ხახვი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს სისხლის გაწმენდას და საკვების მონელების პროცესის სტიმულირებასაც ახდენს. ამ პროდუქტს იყენებენ ჰიპერტონიის, ზოგადი სისუსტის დროს, პოტენციის გასაძლიერებლად, ჭიების საწინააღმდეგო საშუალებად და ასევე გასტრიტის, ჰემოროისა და დიაბეტის დროს.

თავიანი ხახვის წვენი გამოიყენება რევმატიზმის, უძილობის, ნევრასთენიის სამკურნალოდ. ცოცხალი ხახვის „ფაფა" კარგია გრიპის, დერმატიტის, თმის ცვენის, მაზოლებისა და მე-



ჭეჭების სამკურნალოდ და სხვათა შორის, კოღოს ნაკბენის წინააღმდეგაც.

მწვანე ხახვის ფოთლებში გაცილებით მეტი ვიტამინია, ვიდრე თავად ბოლქვში. მწვანე ხახვი არაჩვეულებრივი საშუალებაა ვიტამინების მარაგის შესავსებად, განსაკუთრებით გაზაფხულის ავიტამინოზის დროს. 100 გრამი მწვანე ხახვი უფროსი ადამიანისთვის ჩ ვიტამინის დღიურ ნორმას შეიცავს. მწვანე ხახვის ფურცლებში შედის ასევე კაროტინი და ბე ჯგუფის ვიტამინები. ხახვის ფოჩებში არის ასევე ქლოროფილი, რაც სისხლის რეპროდუქციას უწყობს ხელს.

ახალი მწვანე ხახვი ზრდის მადას და ნებისმიერ კერძს დამატებით მომხიბლავობას მატებს.

ასევე უნდა იცოდეთ, რომ მწვანე ხახვი დიდხანს არ ინახება, გარდა დაჭკნობისა, პროდუქტი სასარგებლო თვისებებსაც კარგავს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# შემწვარი ხორცი კალორიული რომ არ იყოს



თუ გსურთ, კერძი ნაკლებად კალორიული იყოს, მოამზადეთ განსხვავებულად. მაგალითად, ხორცის შესაწვავად გამოიყენეთ მინერალური წყალი. ტაფაში, რომლის ფსკერიც არ იკრავს, დაასხით გაზიანი მინერალური წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. როგორც კი წყალი დუღილამდე მივა, მასში მოათავსეთ ხორცი. გაზი სწრაფადაც შეწვავს მას და საკმაოდ გემრიელადაც. კალორიულობა კი თითქმის არც ექნება. თუ ძროხის ხორცი ცოტათი მაგარია, მოშუშვისას ნახევარი ჭიქა ლუდი დაასხით — ხორცი სწრაფად მომზადდება და გემოც უკეთესი ექნება.

სალათისათვის განკუთვნილი ოხრახუში ცხელი წყლით გარეცხეთ და სალათა უფრო არომატული იქნება.

## შერემეტის მკვლელობას ამერიკული გფბ გამოიძიებს



ჟურნალისტ პავლე შერემეტის მკვლელობას ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიურო (გფბ) გამოიძიებს.

გფბ-ს წარმომადგენლები კიევში უკვე ჩავიდნენ. ისინი უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროს ხატია დეკანოიძეს შეხვდნენ. უკრაინულ მედიაში სულ უფრო დომინირებს მოსაზრება, რომ მკვლელების სამიზნე სწორედ შერემეტი იყო — მას დიდხანს უთვალთვალებდნენ, თავდასხმაც კარგად გათვლილი აქცია გახლდათ.

— შეუიარაღებელი თვალითაც კი ცხადია, რომ პროფესიონალებმა იმუშავეს, — წერს „ზერკალო ნედელი“.

## სირიელმა პარტიზანებმა ასადის არმიის შტაბი ააფეთქეს



ალეპოსთან სირიელმა პარტიზანებმა ასადის არმიის შტაბი ააფეთქეს. აფეთქდა არა მხოლოდ შენობა. დაიღუპა უამრავი ჯარისკაცი. სირიაში გაჭიანურებულმა ომმა იქ მყოფი რუსული სამხედრო დაჯგუფების უფროსი შეიწირა. პუტინის ბრძანებით, გენერალი დვორნიკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის ნაცვლად დაჯგუფებას გენერალი ჟურავლიოვი უხელმძღვანელებს.

## ავსტრალიელს მატარებელში პითონი ჩამოართვეს

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში პოლიციამ მამაკაცს მას შემდეგ ჩამოართვა პითონი, როდესაც მან დიდი ქვეწარმავალი მატარებლის მგზავრებს დაანახა, ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე განათავსა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების განყოფილებამ. პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახ-



მად, რამდენიმე მგზავრმა პოლიცია რკინიგზის სადგურ „ბოი-ბოიზე“ გამოიძახა. მათ განაცხადეს, რომ მამაკაცი, რომელსაც ზურგჩანთაში პითონი ჰყავდა, გველს მატარებლის ვაგონში მყოფებს უჩვენებდა. აღსანიშნავია, რომ მამაკაცისთვის ჩამორთმეული ქვეწარმავლის სიგრძემ 91 სანტიმეტრი შეადგინა. პოლიციის თანამშრომლების თქმით, მგზავრებმა პოლიციაში დარეკვით საკუთარი შეშფოთება გამოხატეს ცხოველის მდგომარეობასთან დაკავშირებით. 20 წლის ახალგაზრდასთან საუბრის შემდეგ, რომლის ვინაობა არ სახელდება, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ მას ქვეწარმავლის ყოლის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ პოლიციელებმა პითონის კონფისკაცია მოახდინეს და მას რეპტილიების ადგილობრივ პარკს გადასცემენ.

ქ. ხ.

# ტრამპი: „ნატოს წევრ ყველა სახელმწიფოს ვერ დავიცავთ“

## კერი: „ამერიკა ნატოს პრინციპების ერთგული დარჩება“





აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს.

კერძოდ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ასეთი აქტიური ველარ იქნება.

— ნახეთ, რა ხდება ჩვენთან! თითქმის ყოველდღე პოლიციელებს ხოცავენ! ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, სხვებს დემოკრატიაზე ვესაუბროთ! — აცხადებს ტრამპი.

ის ნატოსთან დაკავშირებით რიგ ცვლილებებს გეგმავს. კერძოდ, აშშ აღარ დააფინანსებს ნატოს და არც მისი წევრების უსაფრთხოებაზე იზრუნებს.

— რატომ უნდა იტვირთოს ამერიკამ ნატოს დაფინანსება? პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ევროპელებს შემდეგ ფორმულას შევთავაზებ: ან ნატოს ერთობლივად დავაფინანსებთ, ან ჩვენ მის შენახვაზე საერთოდ ხელს ავიღებთ და ნატო მხოლოდ თქვენ შეინახეთ, — ამბობს ტრამპი.

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი ნატოს ქვეყნების უსაფრთხოების საკითხსაც ეხება. ის დეტალურად ჩერდება ისეთ სახელმწიფოებზე, როგორებიცაა ლატვია, ლიტვა, ესტონეთი.

— რაში გვჭირდება ამ ქვეყნების დაცვა? რას აძლევს ეს ამერიკას? არ მესმის, ლატვიელების, ლიტველებისა და ესტონელების გამო რუსეთთან პრობლემები რატომ უნდა შევიქმნათ? ეს ხომ იდიოტიზმია, — ამბობს ტრამპი.

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი უკრაინის საკითხსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ უკრაინა პრობლემური ქვეყანაა. ამერიკას საკუთარი პრობლემებიც საკმაოდ აქვს და უკრაინისთვის არ სცხელა.

— უკრაინაში მოშლილია ეკონომიკა, ყვავის კორუფცია, ნაციონალიზმი. ასეთი ქვეყანა პარტნიორი ვერ იქნება, რადგან, კაცმა არ იცის, იქ რა მოხდება! პუტინს სურვილი აქვს, უკრაინას მოუაროს, უპატრონოს, იქ წესრიგი დაამყაროს! კი ბატონო, გზა დაგვილოცნია, — აცხადებს ტრამპი.

***

ტრამპის გამოსვლა მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ.

მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკელების კანდიდატის სიტყვები არა მხოლოდ ამერიკის ეროვნულ ინტერესებს, არამედ ამერიკულ ეროვნულ სულსა და ზნეობრივ ფასეულობებს ეწინააღმდეგება.

— ტრამპი იმ ადამიანების ქვენა გრძნობებზე თამაშობს, რომლებმაც უმაღლესი განათლება ვერ მიიღეს. აქაოდა, ჩვენი ბიჭები უკრაინელების ან ბალტიელებისთვის რატომ უნდა იხოცებოდნენ, რატომ უნდა მოვიკლოთ რამე ვიღაც გადამთიელებისთვის, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს თავს მივხედოთო. ეს ამორალობაა, — თქვა კერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკა ნატოს პრინციპების ერთგული დარჩება.

— ვერანაირი ტრამპი ვერ აიძულებს ჩვენს ქვეყანას, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებს გადაუხვიოს, — განაცხადა კერიმ.

# სარგსიანმა შეიარაღებულ პირებს იარაღის დაყრა მოსთხოვა

## ერევანში დაძაბულობა არ ცხრება



ერევანში გრძელდება დაპირისპირება სამთავრობო ძალებსა და ოპოზიციას შორის.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მანიფესტანტების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. სომხეთის დედაქალაქში ბარიკადები გაჩნდა. ხალხი კვლავ დაბრუნდა პოლიციის შენობასთან, საიდანაც ისინი ძალის გამოყენებით გააძევეს.

სომეხ ჟურნალისტ საიკ ხალატიანის აზრით, რესპუბლიკაში მოსახლეობა ხელისუფლების მიმართ ტოტალურად უარყოფითადაა განწყობილი. შეინიშნება არნახული აგრესია. ამიტომაც, მიუხედავად ძალის დემონსტრირებისა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა.

— თუკი ხელისუფლება შეძლებს, ვითარება მშვიდობიანად განმუხტოს, ეს მას მცირეოდენ შეღავათს მისცემს. თუ ვერა, მაშინ დაიღვრება სისხლი. სარგსიანის მთავრობის მდგომარეობა კრიტიკული გახდება, — თვლის ხალატიანი.

22 ივლისს სერჟ სარგსიანმა პოლიციის განყოფილების შენობაში გამაგრებულ შეიარაღებულ ჯგუფს მძევლების გათავისუფლებისა და იარაღის დაყრისკენ მოუწოდა. როგორც ბიბისი იტყობინება, ეს არის სომხეთის პრეზიდენტის პირველი კომენტარი მას შემდეგ, რაც 17 ივლისს ერევანში პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმა განხორციელდა. სერჟ სარგსიანის თქმით, მოვლენები სომხეთის კონსტიტუციისა და კანონების მკაცრი დაცვით განვითარდება.

— პირადი შურისძიების ყველა მცდელობა აღიკვეთება კანონის ძალით, — განაცხადა სარგსიანმა.

მისი თქმით, სომხეთში ახლა რთული და საპასუხისმგებლო პერიოდია.

22 ივლისს სომხურმა გამოცემა „ჰაიკაკან ჟამანაკმა“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ სომხეთის ხელისუფლება პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმის გამო მთავრობის გადაყენების საკითხზე მსჯელობს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ბარსელონა — მეტი, ვიდრე კლუბი




***1899 წლის*** 29 ნოემბერს შვეიცარიელმა ემიგრანტმა ჰანს გამპერმა, თერთმეტ ენთუზიასტთან ერთად, კატალონიის დედაქალაქში, სადაც ფეხბურთი ჯერ კიდევ თითქმის უცნობი სპორტის სახეობა იყო, ჩამოაყალიბა საფეხბურთო კლუბი ბარსელონა.

გამპერი, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ რა დიდ სამსახურს გაუწევდა შემდგომში მსოფლიო ფეხბურთს მისი ეს ინიციატივა. ბარსელონის ჩამოყალიბებიდან 100 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ კლუბი არა მარტო ფეხბურთის, არამედ ზოგადად სპორტის ფარგლებსაც გასცდა და წარმატებით განახორციელა იდეა — მეტი, ვიდრე კლუბი.

ბარსელონა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანს აერთიანებს არა მხოლოდ სპორტული, არამედ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისითაც.

კატალონიელი ხალხის ძნელბედობის ჟამს ბარსელონა ყოველთვის იყო თავისუფლების გამოხატულება, რომლის დახმარებითაც კატალონიელები მთელ მსოფლიოს აუწყებდნენ, რომ მათ ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ მათთვის დამახასიათებელი თვისებები.

მთელი გასული საუკუნის განმავლობაში ბარსელონის ცხოვრებაში ერთმანეთს ცვლიდნენ დიდება და დამცირება; ბრწყინვალება და წარუმატებლობა; ისტორიული გამარჯვებები და სამარცხვინო მარცხები. მაგრამ ეს ყველაფერი კლუბს დაეხმარა, ჩამოყალიბებულიყო მისი განსაკუთრებული თვისებები და ბუნება, რითიც ბარსელონა დღესაც განთქმულია მთელ მსოფლიოში.

***1899-1922 წლებში*** ბარსა იყო ყველაზე გამორჩეული საფეხბურთო კლუბი ბარსელონაში, რადგან იგი პირდაპირ ასოცირდებოდა ქალაქთან. შემდგომში ბარსელონა გახდა კატალონიის საუკეთესო კლუბი.

***1922-57 წლებში***, ახალი გრანდიოზული სტადიონის „კამპ ნოუს" აშენებამდე, კლუბს, ისევე, როგორც მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, კონტრასტული პერიოდი ჰქონდა. კლუბის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა, რადგან იმ დროს ზოგადად ფეხბურთის პოპულარობა იყო ძალზე მზარდი და სამოყვარულო დონიდან სპორტის ეს სახეობა საბოლოოდ გადადიოდა პროფესიონალურ დონეზე. გარდა ამისა, იმ დროს ბარსელონაში თამაშობდნენ ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ალკანტარა და სამიტიე.

იმ დროს ბარსელონას უკვე ჰყავდა დაახლოებით 10.000 კლუბის წევრი, რაც მაშინდელი კლუბებისთვის ნამდვილად კარგი მაჩვენებელი იყო. თუმცა, შემდგომში შექმნილმა მატერიალურმა პრობლემებმა და ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს და მის შემდეგ არსებულმა პოლიტიკურმა მღელვარებამ, კლუბი აიძულა, მთელი ენერგია სერიოზული პრობლემების დაძლევაში დაეხარჯა.

ერთ-ერთი ასეთი სერიოზული პრობლემა გახლდათ კლუბის პრეზიდენტ ხოსეპ სუნიოლის 1936 წელს პოლიტიკური მოტივების გამო მკვლელობა. სუნიოლი სწორედ ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც ჩამოაყალიბა და განავითარა სლოგანი „სპორტი და საზოგადოება".

ბარსელონამ ასეთ არაერთ დარტყმას გაუძლო, კლუბმა მაინც შეინარჩუნა თავისი სახე.

ახალი სპორტული ერის დაწყებას დაემთხვა როგორც ახალი სტადიონის აშენება, ასევე კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელის, უნგრელი ლადისლაუ კუბალას გამოჩენა.

***1957-1974 წლები:*** მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ბარსელონა არცთუ ბრწყინავდა, კლუბის წევრთა რაოდენობა მაინც იზრდებოდა და, მართალია, ნელი ნაბიჯებით, მაგრამ კლუბი მაინც პროგრესის გზას ადგა.

სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ლეგენდარული ფრაზა — ბარსა მეტია, ვიდრე კლუბი, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა, ნარცის დე კასერასმა წარმოთქვა ერთ-ერთ სხდომაზე. აღნიშნულ სხდომას კი უძღვებოდა აგუსტი მონტალი, რომლის ძალისხმევის შედეგადაც ბარსამ მოახერხა თავის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი პიროვნების იოჰან კრუიფის შეძენა.

***1974-1992 წლები:*** მეოცე საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი ბარსელონის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისი გახდა. ერის, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ხოსეპ ლუის ნუნიესის ერა, პრეზიდენტისა, რომელიც კლუბის ისტორიაში თუ საუკეთესო არა, ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად იყო.

ნუნიესმა თავისი პრეზიდენტობა იმით დაიწყო, რომ „ნოუ კამპის" სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო არენად აქცია. სტადიონის გაფართოებას არა მხოლოდ სპორტული, არამედ სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან მთელს ევროპას შეეძლო დაენახა, თუ როგორ აფრიალებდა ათიათასობით ადამიანი კატალონიის დროშას ტრიბუნაზე.

ხოსეპ ნუნიესის პრეზიდენტობის დროს უკავშირდება ბარსელონის ისტორიაში კრუიფის, როგორც ფეხბურთელისა და როგორც მწვრთნელის გაბრწყინებაც. სწორედ კრუიფმა ჩამოაყალიბა ის ლეგენდარული გუნდი, რომელსაც გულშემატკივარმა „ოცნების გუნდი" შეარქვა და რომელმაც კლუბის ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი 1992 წელს.

***უემბლიდან პარიზამდე (1992-2006):*** აღნიშნული პერიოდი, ისევე, როგორც ბარსას მთელი ისტორია, ცვალებადობით გამოირჩეოდა. თუ ნუნიესის პრეზიდენტობის დროს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბარსას შავი დღეები დაუდგა 2000 წელს, როდესაც კლუბის პრეზიდენტი ხუან გასპარი გახდა.

სამწლიანი უსახური მოღვაწეობის შემდეგ გასპარი იძულებული იყო, პოსტი დაეთმო ხუან ლაპორტასთვის, რომელიც 2003 წელს აირჩიეს პრეზიდენტად. გასპარისგან განსხვავებით, წარმატებული გამოდგა ლაპორტას პრეზიდენტობა — კლუბმა დაიწყო ახალი სოციალური პროგრამების განვითარება, ხოლო კლუბის წევრთა რაოდენობამ 172.000-ს მიაღწია. ლაპორტას პრეზიდენტობა გამოსარჩევია სპორტული თვალსაზრისითაც — 3 წლის განმავლობაში ესპანეთის ორი ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა, რომელიც ბარსელონის ფეხბურთელებმა 2006 წელს მოიპოვეს პარიზში გამართულ ფინალში.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონას კატალონიელ ხალხთან ერთად უწევდა ბრძოლა არა მხოლოდ გამარჯვებებისათვის, არამედ გადარჩენისთვისაც, იგი დღესდღეობითაც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიადეს კლუბად ითვლება.

შთამბეჭდავია კატალონიელთა მიერ მოპოვებული ტიტულების რაოდენობაც. მსოფლიოში არცთუ ბევრ კლუბს აქვს მოპოვებული იმ რაოდენობისა და ხარისხის ტიტულები, როგორიც ბარსელონას. კლუბის მუზეუმში ინახება ჩემპიონთა ლიგის 5 თასი, რომლებიც ბარსელონამ მხოლოდ საკუთარი ბრძოლის ხარჯზე მოიპოვა.

გარდა აღნიშნული თასებისა, ბარსელონას კიდევ არაერთი ევროთასი მოუგია. იგი არის ერთადერთი ესპანური კლუბი, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი ევროტურნირი აქვს მოგებული. ბარსელონა ასევე არის თასების მფლობელთა თასის რეკორდსმენი მოპოვებული თასების მხრივ — ბარსას მუზეუმში 4 თასების მფლობელთა თასი ინახება.

ბარსელონის ევროპული მონაგარი ამით არ იწურება, კატალონიელთა მუზეუმში ინახება ასევე 3 ბაზრობათა თასი (უეფას თასი) და 2 ევროპის სუპერთასი.

ბარსელონა რეკორდსმენია ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებაშიც, რომელიც კატალონიელებმა ყველაზე მეტჯერ – 28-ჯერ მოიგეს.

ესპანეთის ჩემპიონატი იყო ტურნირი, რომელში გამარჯვებაც ბარსელონას ყოველთვის უჭირდა, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისი იყო 1990-იანი წლები, როდესაც კატალონიელებმა ექვსჯერ მოახერხეს ლა ლიგას თასის თავს ზემოთ აღმართვა და ბოლო პერიოდი, როდესაც ის თითქმის დაუმარცხებელ გუნდად იქცა. ისტორიის განმავლობაში კი ბარსელონამ ლა ლიგა 25-ჯერ მოიგო.

**ტრიპლეტი**

ბარსელონის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008-09 წლების სეზონი. ამ დროს კლუბი ჩაიბარა მისმა ლეგენდარულმა კაპიტანმა ხოსეპ გვარდიოლამ. ახალი მწვრთნელის ხელში ბარსამ თამაში ცუდად დაიწყო, მაგრამ, ესპანეთის ჩემპიონატის მე-3 ტურიდან მოყოლებული, კატალონიელები შეუჩერებელნი გახდნენ.

მათ მოიგეს ორივე კლასიკო (2:0 და 6:2) და ესპანეთის ჩემპიონები გახდნენ. მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა — ესპანეთის თასის ფინალში ბარსამ ბილბაოს ატლეტიკი 4:1 დაამარცხა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ფინალში უშანსოდ დატოვა მანჩესტერ იუნაიტედი. რომის ფინალში მოგებით ბარსელონა გახდა პირველი ესპანური კლუბი, რომელმაც სეზონში სამივე ტიტულის მოგება მოახერხა.

წარმატებული სვლა გვარდიოლას არც მომდევნო სეზონში შეუჩერებია. ესპანეთის სუპერთასზე კატალონიელებმა ბილბაოს ატლეტიკი დაამარცხეს ორი მატჩის ჯამში 5:1, ევროპის სუპერთასზე დონეცკის შახტარს სძლიეს 1:0, ხოლო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ესტუდიანტესს მოუგეს 2:1.

საკლუბო მუნდიალის მოგებით ბარსელონა გახდა პირველი გუნდი ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც კალენდარული წლის მანძილზე ყველა, ექვსივე ტიტული მოიგო. უნიკალური მიღწევის პატრონი გახდა პედრო როდრიგესი — ახალგაზრდა ფეხბურთელმა ექვსივე ტურნირზე მოახერხა გოლის გატანა.

***

გაგაცნობთ ბარსელონის რეკორდების ნუსხას ესპანეთის გარეთ.

მსოფლიო

ყველაზე მეტი ოფიციალური ტიტული წლის განმავლობაში — 6 (2009): ესპანეთის თასი, ესპანეთის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, ესპანეთის სუპერთასი, ევროპის სუპერთასი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

ევროპა

ბარსელონა არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც, 1955 წლიდან მოყოლებული, არცერთი სეზონი არ ჩაუტარებია ევროტურნირების გარეშე;

ყველაზე მეტი ევროპული ტიტული (15): 5 ჩემპიონთა თასი, 4 თასების მფლობელთა თასი, 3 ბაზრობათა თასი, 5 ევროპის სუპერთასი.

ყველაზე მეტი თასების მფლობელთა თასი (4): 1979, 1982, 1989, 1997.

ყველაზე მეტი ბაზრობათა თასი (3): 1958, 1960, 1966.

ევროტურნირებზე ნათამაშევი ყველაზე მეტი ფინალი (17): 7 ჩემპიონთა თასზე/ლიგაზე, 6 თასების მფლობელთა თასზე, 4 ბაზრობათა თასზე.

ყველაზე მეტი დუბლი ევროპული თასის მოგებით (4): 1992, 2006, 2009, 2011.

საერთაშორისო ტურნირებზე გოლის ზედიზედ 33 თამაშში გატანა: 2009 წლის 24 ნოემბრიდან 2012 წლის 7 მარტამდე.

ჩემპიონთა ლიგაზე გოლის ზედიზედ 29 თამაშში გატანა: 2009 წლის 24 ნოემბრიდან 2012 წლის 7 მარტამდე.

ევროპის წამყვან ჩემპიონატებში დაგროვებული ყველაზე მეტი ქულა: 100 – 2012-13 წლების სეზონში.

# მამუკა კობახიძე: „სათამაშო პრაქტიკა მჭირდება"

რუსული პირველი დივიზიონის ნეფტეხიმიკის ახალწვეულ მამუკა კობახიძის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ქართველი მცველი ყაზანის რუბინმა გაანათხოვრა ნეფტეხიმიკში. სწორედ ასეთი გზა გაიარა საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა სოლომონ კვერკველიამ.

***— როდის გაიგეთ, რომ ნეფტეხიმიკში გადმოდიოდით?***

— რუბინი ნეფტეხიმიკს ამხანაგურ მატჩში 1:1 ეთამაშა და სწორედ მაშინ გამოთქვა ნეფტეხიმიკის ხელმძღვანელობამ ჩემი დამატების სურვილი. დაველაპარაკე რუბინის გენერალურ დირექტორს და გადაწყვეტილებაც მივიღეთ.

***— შარშან პრემიერლიგის კლუბში იყავით განათხოვრებული, ახლა კი — პირველი დივიზიონის. გული არ გწყდებათ?***

— სჯობს, იყო პირველი დივიზიონის გუნდის სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელი, ვიდრე პრემიერლიგაში სკამი ხეხო. ასე იყო მორდოვიაში, სადაც სათადარიგო ვიყავი.

***— თქვენი მეგობარი საბა კვერკველიაც იყო ნეფტეხიმიკში განათხოვრებული.***

— სწორედ ეს მაძლევს სტიმულს. დიახ, ის აქ თამაშობდა, ფორმაში შევიდა და ახლა რუბინის ძირითადის ფეხბურთელია, ევროთასებზე უთამაშია. კვერკველიას მაგალითი იმის მტკიცებულებაა, რომ სწორად მოვიქეცი.

***— როგორ შეეგუეთ ახალ კლუბს, ქალაქს?***

— კოლექტივი მეგობრულია, საწვრთნელი ბაზა კი — მორდოვიაზე უკეთესი. თუმცა სარანსკი მაინც რესპუბლიკური ცენტრია და უფრო საინტერესო მეჩვენა, ვიდრე ნიჟნეკამსკი.

***— რა მიზანს ისახავთ?***

— რაც შეიძლება მეტი მატჩი უნდა ვითამაშო, სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელი უნდა გავხდე, აქ დიდი კონკურენციაა მცველებში.

***— საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით?***

— ახალგაზრდულ ნაკრებში მითამაშია, ეროვნულშიც ხუთჯერ ვითამაშე ამხანაგურებში, მაგრამ ოფიციალურებში — არა. იმედი მაქვს, ნეფტეხიმიკში სათამაშო პრაქტიკას მივიღებ და ეროვნულ გუნდშიც მოვხვდები.



# საქართველოს ნაკრები მზადებას აგრძელებს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ საქართველოს საკალათბურთო ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიაში ვარჯიში განაახლა.

ბერძენი მთავარი მწვრთნელის ილიას ზუროსის გადაწყვეტილებით, სლოვენიაში ჩასვლისა და 4-დღიანი ვარჯიშების შემდეგ, ეროვნული ნაკრების წევრებმა ერთი დღეს დაისვენეს, ხოლო შემდეგ ვარჯიშების განრიგი შეიცვალა.



თუკი აქამდე დილას ფიზმომზადება იყო და საღამოს ბურთით ვარჯიში, ახლა პირიქითაა. ზუროსმა ნაკრები სრული დატვირთვით, ძირითადად სათამაშო კომპონენტებზე ავარჯიშა. ბერძენმა სპეციალისტმა აქცენტი დაცვასა და შეტევაზე გააკეთა, მოთამაშეებს ამ კომპონენტების მართებულად შესასრულებლად მრავალი დარიგება მისცა.

როგორც ცალ ფარში, ისე მთელ მოედანზე ნაკრების წევრებმა კალათბურთი გააჩაღეს, თუმცა ზუროსი სასტვენით ხშირად აჩერებდა თამაშს და კალათბურთელებს ხან რაღაცას უსწორებდა, ხანაც რჩევას აძლევდა და თამაშის გაგრძელების უკეთეს ალტერნატივას უჩვენებდა.

თორნიკე შენგელიამ, რომელიც აქამდე მხოლოდ ინდივიდუალურად ემზადებოდა, გუნდთან ერთად ივარჯიშა, თუმცა ის მწვრთნელებმა სრულყოფილად არ დატვირთეს და ისეთ ვარჯიშებში, სადაც კონტაქტი მეტი იყო, არ ჩართეს. შენგელიამ მხოლოდ ბურთი ესროლა, ფარში შესვლები გააკეთა და ძირითადად თავისი ამჟამინდელი საქმიანობით — ტრენაჟორებითა და სხვადასხვა ძალისმიერი თუ ფიტნესვარჯიშით დაკავდა.

შემადგენლობის მხრივ ნაკრებში სიახლეებია. გუნდს შეუერთდა ბექა ბექაური, რომელიც 1-15 ივლისს საქართველოს ბ ნაკრებს ჩინეთში ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში დაეხმარა.

ბექაურთან ერთად სლოვენიაში უნდა ჩამოსულიყო ბ ნაკრებიდან ეროვნულში გამოძახებული ბექა წივწივაძე, რომელმაც ხელმძღვანელობას შეატყობინა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და სლოვენიაში არ ჩასულა. თუმცა მას გაცილებით დიდი პრობლემა და უსიამოვნება შეხვდა — ჩინეთიდან მომავალი ქართველი კალათბურთელი აეროპორტში ნარკოტიკების შენახვა-გადატანის ბრალდებით დააკავეს და შემდეგ გირაოთი გაათავისუფლეს.

ეროვნული ნაკრების შეკრება დატოვა ნიკა მეტრეველმა, რომელსაც ნაოპერაციევი საზარდული ბოლომდე არ ჰქონდა მორჩენილი და ნაკრებთან ერთად ვერ ვარჯიშობდა.

მოგვიანებით ეროვნული ნაკრები გიორგიოს ვავეცისის ხელმძღვანელობით ფიზმომზადების ვარჯიშებს გაივლის.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 25 ივლისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ცოდვა და სიყვარული" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" 15.00 დ/ფ "თოფ–გიარი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ზორგო ლარიჩის საიდუმლოება" 18.00 "მოამბე" 19.00 "კომუნიკატორი" 20.00 "მოამბე" 20.50 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.30 ტ/სერ. "ზორგო ლარიჩის საიდუმლოება" 22.30 "ოლიმპიური დღიური" 23.00 მხ/ფ "ბოლეინის კიდევ ერთი ასული" (ნ.პორტმანი) 01.10 მხ/ფ "რაღაც ახალი"

08.00 დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" 09.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 10.00 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" 11.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 12.00 ტ/სერ. "ევას სამი ვარდი" 13.00 "თოფ გიარი" 14.00 მხ/ფ "მტირალა" 16.00, 18.00 "ზრიფინგის დრო" 16.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 17.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 18.30 ტ/სერ. "სიმრუშე" 19.30 "ტელებლოგი" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 00.30 მხ/ფ "კოტონ მერი"

05.00 სერ. "დახურული სკოლა" 06.00, 16.00 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბაბუის ველი" 11.20 სერ. "ჟუმონები" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 1 სერ. 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "ნორბიტი" 02.15 მხ/ფ "მეცხრე ლეგიონი"

